

3-47.

ბავშვული  
ბიბლიოთეკა

# ბავშვული ბიბლიოთეკა



1928

სახეცბამი

№ 3

# თამაშობა.

**სათამაშო ადგილი:** მოედანი, ან მოზრდილი ღარბაზი.

**მოთამაშეთა რიცხვი:** 14—50-მდე.

**მოთამაშეთა განაწილება:** ბიონერები ამოირჩევენ ორ ბავშვს, რომელთაგან ერთი მუშა და მეორე კაპიტალისტი. დანარჩენი ბიონერები დანაწილდებიან ოთხ-ოთხად, ან ხუთ-ხუთად და აკეთებენ ცალკ-ცალკე წრეებს, 5-7 ნაბიჯის მანძილზე ერთიმეორესაგან. თითოეული ასეთი წრე აირჩევს თავისი შემადგენლობიდან ერთ-ერთ მოთამაშეს და ჩააყენებს წრის შუაგულში. უკვე არჩეული მუშა და კაპიტალისტი სრულიად უადგილოდ რჩებიან.

**თამაშის მსვლელობა:** კაპიტალისტი დასდევს მუშას, მას სურს მუშის დაჭერა, მისი შრომის ექსპლოატაცია. მუშა გაურბის კაპიტალისტს და უფლება აქვს თავი შეაფაროს რომელიმე წრეს. როგორც კი შეირბენს მუშა რომელიმე ერთ წრეში, იქ მდგომი მოთამაშე იმ წამსვე უნდა გაიქცეს წრიდან, რადგან, თამაშის წესების მიხედვით, ერთი წრის შუაგულში ორი მოთამაშის გაჩერება შეუძლებელია. კაპიტალისტი წრეში შესულ მუშას ხელს ვეღარ ახლებს და ახლა უნდა დაედევნოს წრი-

დან გამოსულ მეორე მოთამაშეს; ეს უკანასკნელიც გაურბის კაპიტალისტს და ცდილობს რომელიმე წრეში შეაფაროს თავი. მის წრეში შერბენისთანავე წრიდან უნდა გამოიქცეს იქ მდგომი მოთამაშე და ახლა ამ ახალ მუშას უნდა გამოეკიდოს კაპიტალისტი დასაჭერად. თუ კაპიტალისტმა მოახერხა მუშის დაჭერა, როლები იმ წამსვე შეიცვლება: მოთამაშე, რომელიც მუშას წარმოადგენდა, კაპიტალისტის როლს მიითვისებს და უწინდელი კაპიტალისტი კი მუშისას და ახალი კაპიტალისტი გამოეკიდება მუშას დასაჭერად. რომ თამაში მოსაწყენი არ იქნეს, საჭიროა მუშისა და კაპიტალისტის ხშირი გამოცვლა.

**თამაშის წესები:** 1. კაპიტალისტს უფლება აქვს დაიჭიროს მხოლოდ წრის გარეშე მყოფი მოთამაშე, წრეში შესულს ის ვერ შეეხება.

2. როგორც კი შეირბენს წრეში მუშა, იქ მყოფი მეორე მოთამაშე იმ წამსვე უნდა გაიქცეს წრიდან გარეთ.

3. წრიდან გამოქცეულს უფლება აქვს იმ წამსვე დაბრუნდეს ისევ თავის წრეში, მხოლოდ მეორე იქ მდგომი მაშინვე უნდა გავიდეს წრიდან.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:


1. წითელი არმიის ათი წლის თავი—ვ. იმედაძის . . . . .	2	33-	7. სამოქალაქო ომის წითელი გმირები—ა. ახტა-შევასი . . . . .	16	83-
2. ნორჩი ლენინელები—ს. კამარაულის . . . . .	3		8. ჩვენი ცხოვრება და მუშაობა . . . . .	17	
3. ხუთი მდინარის სათავეში—ნ. კეცხოველის . . . . .	7		9. მონღოლეთი — თ. ჩ. . . . .	19	
4. წითელარმიელის სიმღერა—ლექსი—კ. ლორთ-ქიფანიძის . . . . .	9		10. მეცნიერება და ტექნიკა . . . . .	21	
5. კინო-მსახიობი მიშა—ს. ვ. . . . .	10		11. ჭადრაკი . . . . .	23	
6. საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავი—ვ. ლუარსაბიძის . . . . .	15		12. თამაშობანი . . . . .	კანზე	

329.153 (05)

3-47.



გეორგიის ეროვნული საკრებულოს ბიბლიოთეკის იმპრინტის განყოფილება



# პიონერი

1928


15 თებერვალი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცკვასთან) შეერთალი შავშემისათვის


წელიწადი III

№ 3

პიონერები ამტკიცებენ კავშირს წითელ ჯართან.



სამხედრო წრე პიონერ-კოლექტივში (ტფილისი).



### წითელი არმიის ათი წლის თავი.

რევოლუცია ხელჩართული, გაშმაგებული ბრძოლაა ახლისა და ძველის, ჩაგრულთა და მჩაგრულთა შორის ბრძოლა. გაბატონებული კლასი, მდიდრები არასდროს თავისი ნებით ძალა-უფლებას და სიმდიდრეს არ დაგიბრუნებენ, მათ ეს ძალით უნდა წაართვა, გამოგლიჯო. მაგრამ ბრძოლა როდი თავდება ყოფილი ბატონის მიწაზე განართხვით — ის ვერ შეურიგდება, არ შეურიგდება თავის დამარცხებას, ბევრჯერ შეეცემა ძველი დაიბრუნოს, მას მიეშველებიან სხვა ქვეყნების მდიდრები, მემამულეები, ბურჟუაზია, ომს გაუმართავენ ერთ ქვეყანაში გამარჯვებულ მუშებსა და გლეხებს, რომ აღადგინონ ძველი ბატონები.

ანდა ერთ ქვეყანაში გამარჯვებულ მუშებისა და გლეხების მავალითს მიბაძავენ სხვა ქვეყნების ტანჯულ-დაჩაგრული მშრომელი, აუშობხდებიან თავის მტარვალებს და მაშინ მათ ესაჭიროებათ თავის უკვე გამარჯვებული და დარაზმული აზხანაგის დახმარება შეიარაღებული ძალით — მისი მებატონეების წინააღმდეგ.

„ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო“, — ნათქვამია.

მაშასადამე, რევოლუციას სჭირდება დარაზმული შეიარაღებული ძალები, როგორც შინაური მტრების (მემამულე, ბურჟუაზია, წურბელა („კულაკი“), მენშევიკები და სხვა), აგრეთვე გარეშე მტრების — (უცხოეთის შემომსვევი ყაზალების) წინააღმდეგ და თავის ტანჯულ მოძმეთა დასახმარებლად.

ასეთი შეიარაღებული ძალაა წითელი არმია. რა ამოცანები ღვას მის წინაშე?

წითელი არმია მტკიცედ და ერთგულად სდარაჯობს, გუშაგობს ჯერჯერობით ერთადერთს მუშურ-გლეხურ ქვეყანას; ის მზად არის უკუაგდოს მსოფლიო ბურჟუაზიის ქოფაკი ძალების შემოტევა, გული მიუშვიროს მტრის შემოტევას, თუ საჭირო იქნება. — დაეცეს საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე.

წითელი არმია ღვიძლი შვილია მუშების და გლეხების, მათი წრიდან გამოსული, მათი ინტერესების მსახური, დამცველი. თუ ძველი მეფის არმია იცავდა მეფესა და მემამულეებს ხალხისაგან, რევოლუციისაგან, წითელი ჯარი შექმნილია მუშების და გლეხების დასაცავად, მათი შრომის, შემოქმედების, აღმშენებლობის ინტერესების დასაცავად. წითელი ჯარი — მუშურ-გლეხური ჯარია.

წითელი არმია ჩაგრულ ერთა დამცველია. მეფის არმია სტანჯავდა, იმონავებდა სხვა ერებს — პოლონელებს, უკრაინელებს, უზბეკ-თურქმენებს და სხვებს. წითელი არმია კი დაეხმარა უკრაინელებს, ბელორუსებს, თურქმენებს, უზბეკებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ქართველებს, დაღვარა თავისი სის-

ხლი, ოლონდა ამ ხალხების მშრომელ მასებს ჩამოეგდათ თავისი მემამულეების, კაპიტალისტების, მენშევიკების ძალა-უფლება და დაემყარებინათ მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება. დედამიწაზე მხოლოდ საბჭოთა კავშირში არ არის ეროვნული ჩაგვრა, ყველა ერები ძმები, თანასწორები არიან, შეხმატკბილებულად მუშაობენ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დროშის ქვეშ.

წითელი ჯარი საერთაშორისო რევოლუციის ჯარია. ის მზად არის, — თუ ტანჯულნი მოინდომებენ მძიმე უოლის, ხუნდების თავიდან მოშორებას, — თავის გასწიროს, მსხვერპლად დაეცეს თავის მოძმეთა სახსენლად — იქნება ეს გერმანია, პოლონეთი, ჩინეთი თუ სხვა ქვეყნების მშრომელი ხალხი. წითელი ჯარი მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე მტკიცედ სდგას (რა გასაკვირია, რომ ის მშვენიერად დაეხმარა საქართველოს მუშებს და გლეხებს, ზღვის იქით გადარეკა საქართველოს ნაგავი-მემამულეები, მდიდრები, მენშევიკები და სხვანი რომელნიც ძლიერ ბრახობენ).

წითელი ჯარი კულტურის, განათლების კერაა. იქ ჯარისკაცს ასწავლიან საზოგადოებრივ მუშაობას, ასწავლიან შეგნებული მოქალაქეების მოვალეობას. წითელ არმიაში ძლიერია შეგნება და დისციპლინა; ამიტომ ძლიერ საჭიროა, რომ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ხშირათ იბრათ წითელ ყაზარმებში, დაუახლოვდეთ წითელ ჯარს: მისგან ბევრ რამეს ისწავლით, გაიგებთ მისი სახელოვანი, გმირული ბრძოლის ისტორიას, როცა ის ნახევრად მშინერი, ტიტველი, შეუღარებელი გააფთრებით იბრძოდა მეფის ღენერლების, უცხოეთის ბურჟუაზიის მიერ მშვენიერად ჩაცმულ-შეიარაღებული მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ, იბრძოდა თავდადებული, ვინაიდან გრძნობდა, რომ იცავდა მუშების და გლეხების საქმეს, მუშებისთვის ქარხნებს, გლეხებისთვის მიწას, მათ ძალა-უფლებას.

თქვენ ისწავლით წითელი ჯარისგან მუშაობის წესს, ყოველივე საქმის თავის დროზე, სუფთად, პატიოსნად შესრულებას, თავისი მოვალეობის შეგნებულად ასრულებას.

თქვენ ისწავლით, როგორ უნდა იბრძოლოთ მომავალში მშრომელთა საქმისათვის, როგორ უნდა შეიყვაროთ ეს საქმე, როგორ მოემზადოთ მის დასაცავად, განსაგრძობად.

მაშ — ხშირად წითელარმიელებთან, შეიწავლეთ მათი მუშაობა, მათი გმირული ისტორია, შეიყვარეთ ჩვენი სიამაყე, ჩვენი დამცველი გუშაგი — სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი ლაშქარი.

ვ. იმედაძე.



### 1. როგორ მოაწყვეს კოლექტივი.

შემოდგომა მოახლოვებული იყო.

მზე ხშირად ეფარებოდა ღრუბლებს და ცივი ქარი არასასიამოვნოდ უბერავდა. ხანდახან, თითქოს ბუნებამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბაო, ისევ მზიანი დღეები დგებოდა და გეგონებოდათ ზაფხული აპირებს დაბრუნებასო. ასეთ დღეებში, რა თქმა უნდა, მზე დილიდანვე გაანათებდა ყველგან და არ დასტოვებდა ქალაქის მთავარ ბაღსაც, რომელსაც ზევიდან დაჰყურებდა ამაყად და მის ისედაც ლამაზ ხეივანს სიკვლეუტეს მატებდა.

აგერ, ნაწილი ბავშვებისა დაგროვილ სილასთან ფუსფუსებს.

ნაწილს ბაღის ღობე გაურღვევია, შექრილან შიგ და თავისუფლად ნავარდობდენ. ზაფხულში აქ არავინ უშვებდა მათ სათამაშოდ, რადგან აქ ყოველ საღამოს უკრავდა ორკესტრი, ეწყობოდა დიდი სეირნობა და იქვე სცენაზე მსახიობები თამაშობდენ.

ახლა კი ბაღი სულ სხვა სურათს წარმოადგენდა.

დაუგველ გზებზე ბლომად ეყარა ნახევრი ქალღლები და პაპიროსის ნამწვები.

ბაღის დარაჯი პავლე გორგაძე, რომელსაც მთელი დღეები სახლში სძინავდა, არც იმდენ ლანძღვა-გინებას დაუწყებდა მოთამაშე ბავშვებს, რომ კიდევ დაენახა ისინი ბაღში.

ასეთ პირობებში ბავშვებს აბა ვინ შეაჩერებდა და იქ ხტუნაობასაც რად მიატოვებდენ, სანამ არ დაილღებოდენ ან არ მოშივდებოდათ?

როცა 5 საათზე საყვირი ღრიალს მოყვებოდა და ქარხნებიდან მუშები გამოვიდოდენ, ბავშვებს მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდათ სახლებში წასვლა და საქმელის ქამა.

იმდენად იყვნენ გართულნი ბაღში ხტუნვა-თამაშობით, რომ დიდხანს არ იცდიდენ სახლებში. დაახლოებით 7 საათზე, როცა უკვე შებინდებული იყო, მიდიოდენ ისევ ბაღში, სადაც მთელი დღე გაატარეს.


როცა ცივი ქარი ატყდებოდა, ან თოვას დაიწყებდა, ბავშვები მუშათა კლუბს აშურებდენ.

ღრუბლიანი დღე იყო.

ბავშვები ბაღში 12 საათზე მოვიდენ, რადგან მზე დიდხანს არ გამოჩენილა.

ჯერ „კუკუ-მალულობია“ ითამაშეს, შემდეგ კი „ვრანგელობია“. ეს უკანასკნელი თამაშობა ხატავდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან მოსყიდული კონტრ-რევოლუციონერი გენერლის ვრანგელის თეთრი მხედრობის ბრძოლას რუსეთის მუშების და გლეხებისაგან შედგენილ წითელ ლაშქართან ყირიმის ნახევარკუნძულზე. ბაღის მოედანს „ყირიმი“ დაარქვეს. ნიკო ჩხიკვაძეს „ვრანგელი“ და ვანოს — „ფრუნზე“ — ცნობილი წითელი სარდალი, რომელიც მაშინ ვრანგელთან მებრძოლი წითელი ლაშქრის ერთ-ერთი მეთაური იყო. დანარჩენი ბავშვებიც ორ ჯგუფად დაიყვეს. „ფრუნზეს“ მომხრეებს უწოდეს „წითლები“ და ვრანგელისას — თეთრები.

ბრძოლა დაიწყო ჯერ ნაფოტებით, რაც ბაღში უხვად იყო დაყრილი. იმთავითვე ბრძოლას ეტყობოდა, რომ წითლების საქმე კარგად მიდიოდა და თეთრები მარცხდებოდენ. წითლების ხელმძღვანელი ვანო კარგად იღებდა ნიშანში მოწინააღმდეგეებს. წითლები კიდევ გაღვიდენ იერიშზე. მაგრამ ყირიმი ძლიერ ძნელი ასაღები შეიქნა. როგორც ლომები, ისე იბრძოდენ წითლები, მაგრამ თეთრგვარდიელები აყრიდენ სილას და ასხამდენ წყალს. ხან-გამოშვებით იჭერდენ ხოლმე თითო-ორიოთხე თეთრ-



კურსანტი პიონერებს ასწავლის თოფის მოწყობილობას (ტფილისი, მე-2-რე რაიონი).

გვარდიელს და მიათრევედენ იქვე მახლობელ დიდ აუზთან, თითქოს ზღვაში უნდა ჩაეგდოთ მოწინააღმდეგე.

— 'ეი, თავი დაანებეთ წინააღმდეგობას! — დაიძახა გოგიმ — ჩქარა დაგვენებით, თორემ ყველას ამოგწყვეტთ!

— ძირს!

— ვაშა!

— არ ჩაგაბარებთ ყირიმს!

იძახდნენ თეთრგვარდიელები.

— მაშ თქვენ ასე გინდათ! — გაცეცხლდა გოგი. მომასმინეთ, მეგობრებო! ჩვენ ახლა სამ რაზმად გავყუთ. ერთი რაზმი პირდაპირ მტერზე მივიდეს იერიშით და როდესაც ისინი წამოვლენ ამ ერთი რაზმის წინააღმდეგ, დანარჩენი ჩვენი ორი რაზმი მტერს უეცრად უკანიდან დაეცეს. მაშ მოწყვეით! გაუმარჯოს საბჭოებს!

წითლების პირველი რაზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ თეთრგვარდიელები.

უკანასკნელნი ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ მტერი მაინც ვერ მოიშორეს.

ასეთი გამწვავებული ბრძოლის დროს წითლების პარტიის დანარჩენი ორი რაზმი ორი მხრიდან თავს დაეცა ციხე-სიმაგრეს და საშინელი ბრძოლის შემდეგ მტრები ზღვაში გადასროლეს.

ამგვარად აიღეს ყირიმი.

ბავშების თამაშობა ჩხუბით დამთავრდა. როცა გოგი იერიშზე შეუპოვრად მიდიოდა და „ყირიმის“ აღებას ლამობდა, „ვრანგელმა“ პეტოს მოასწრო ნიკაპ ქვეშ ჩექმის ამორტყმა და როცა წითლები შევიდნენ „ყირიმში“, „ფრუნზე“ მივარდა „ვრანგელს“, სტაცა ფეხში ხელი და ზღვაში გადაისროლა. თეთრების მეთაურ ნიკოს თავი გაუტყდა. დანარჩენებმაც ჩხუბი დაიწყეს.

მალე ჩხუბიც დამთავრდა.

მოჩხუბარნი დამშვიდებით ისწორებდნენ დღეფთილ ტანისამოსს და ხელს. ისვამდნენ ჩხუბში ნატკენ ადგილებზე. ნიკო ჩხიკვაძემ შეურაცხყოფილად იკრძნო თავი და შინისაკენ გასწია, თან ბრახმორეული ემუქრებოდა ხელის გამწარებული ქნევით წითელ არმიას.

— იცით რა, ამხანაგებო, მე მგონია, რომ კარგი იქნება, თუ მოვაწყობთ ისეთ ორგანიზაციას, სადაც ყველანი ერთად ვიქნებით, ვარჯიშობა ხომ ყველას გვინდა, შემდეგ დროშასაც შევიძენთ.

სთქვა გოგიმ.

— ბარბანსაც ომ ვიშოვიდეთ, როგორც პიონერები — რა საუცხოვო იქნება!..

ამოიოხრა გოგიმ.

— მოდი, ვიყოთ პიონერებიც!



წინადადება შემოიტანა ვილაკამ.

- ვიყოთ პიონერები
- გავხდეთ პიონერები!

იყვირეს ბავშვებმა.

- ვინ არიან პიონერები?
- თუ არ იცი, ნურც ამბობ.
- გააწყვეტინა ვანომ.

— შენ თვითონ იცი? — ჰკითხა გოგამ.

— მე კიდევ ჩავეწერებოდი პიონერად ამდენ ხანს, მაგრამ ამბობენ, რომ იქ შეუძლებელია ლანძღვა-გინებაო. მე მეშინია, რომ ჩავეწერო, შემდეგ დამავიწყდეს და ვინმე გამოვლანძლო, პიონერთა ჯგუფი გამომრიცხავს.

— რას აკეთებენ პიონერები?

თამამად წაილაპარაკა ერთ-ერთმა უმცროსმა ამხანაგმა.

— იქ მხოლოდ მწყობრად სიარულს სწავლობენ, არა?

სთქვა მეორემ.

— როგორ თუ მხოლოდ მწყობრად სიარულს? — უპასუხა ვანომ: — ისინი მხოლოდ მაშინ მიდიან მწყობრად, როცა ომში წესიერად წასვლას ეჩვევიან.

აი, მაგალითად, თუგინდ ჩემი ამხანაგი, რომელიც პიონერია; ცხოვრობდა ტყეში და ბანაკში ათევედა ღამეს, ზამთარში კი მათთვის არსებულ კლუბში იყო დაბინავებული. კლუბის გარდა პიონერებს აქვთ სახელოსნო, სადაც ჩემი ამხანაგიც მონაწილეობას იღებდა და აგრეთვე ბევრს კითხულობდა ლენინის შესახებ.

— მოდი ჩვენც შევადგინოთ ორგანიზაცია — შემოიტანა წინადადება გოგამ: თუ ვინმე შეიგინება, პირველ შემთხვევისას ნუ გამოვრიცხავთ ჩვენი წრიდან, მივცეთ გაუთხოვლობა და შემდეგ ალბათ გადავეჩვევით კიდევ. მაგრამ ახლა როგორ უნდა შევადგინოთ კოლექტივი?

— მე გამოვკითხავ, თუ როგორ შეიძლება პიონერთა ორგანიზაციის მოწყობა და შემდეგ ყველაფერს მოგიყვებით. სთქვა ვანომ.

— რა ვუწოდოთ ჩვენს ორგანიზაციას? იკითხა ერთმა.

— ნორჩპიონერთა კოლექტივი — სთქვა გოგამ. ამ დროს საყვირის ხმა გაისმა. გოგი წამოხტა და ამხანაგებს უთხრა:

— ახლა კი დროა შინ წავიდე, პირი დავიბანო, თორემ აწი საცაა მამაჩემი მოვა, შეხედავს ჩემს გაწითლებულ პირისახეს, გამომკითხავს ყოველივეს, იქნებ საყვედურიც არ მაკმაროს და მომბევვოს კიდევ.

— ჩვენც წავალთ! ჩვენც წავალთ! აფუსფუსდენ დანარჩენებიც და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, შინისაკენ მოკურცხლეს.

— იცით რა გითხრათ, ამხანაგებო? ჯერ ნურავის ეტყვით ჩვენ განზრახვას. ნიკო ჩხიკვაძესაც



ამხ. ბუდიონის სახელობის კოლექტივის პიონერები დაკავშირებული არიან კურსანტებთან (ტფილისი).



არაფერი უთხრათ, თორემ დაცინებს და ლაზღან-  
ღარობას დაგვიწყებს. როცა ყველაფერს მოვაწ-  
ყობთ, ნიკოს ჩაწერას მაშინაც მოვესწრებით.

სთქვა გოგომ.

გოგის ყველა დაეთანხმა. გამოძვრენ ბალი-  
დან და ხმაურითა და ყიჟინით შინისკენ გასწიეს.

მეორე დღეს, მიუხედავად ცუდი ამინდისა,  
ბავშვები მოგროვდნენ. არ ჩანდა მხოლოდ ნიკო  
ჩხიკვაძე და მისი სამი მახლობელი ამხანაგი.

ვანოს და გოგის ვილაც 14 წლის ვაჟი  
მოაპყვა, რომელსაც მოკლე შარვალი და მოკლე-  
სახელოიანი ყვითელი ხალათი ეცვა. კისერზე წი-  
თელი ნაჭრის ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული.

ბავშვებს სერიოზული გამომეტყველება ჰქონდათ.

პიონერმა, რომელსაც მიხოს ეძახდნენ, ყველას  
გამოჰკითხა სახელი, გვარი და მშობლების ვი-  
ნაობა.

ბავშვები ყველანი მუშების შვილები აღმოჩ-  
ნდნენ.

— მაშ თქვენ გინდათ მოაწყოთ პიონერთა  
ორგანიზაცია, არა? კარგო, მაგრამ ჯერ საჭიროა  
მოლაპარაკება ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედ-  
თან. თუ უჯრედმა არ გაიგო, ისე ორგანიზაციის  
მოწყობა არ შეიძლება. თქვენ უნდა ამოარჩიოთ  
სამი დელეგატი, რომ ისინი წავიდნენ უჯრედში მო-  
სალაპარაკებლად და აცნობონ მას თქვენი სურვი-  
ლი. უჯრედში მოლაპარაკების შემდეგ საჭიროა რა-  
იონულ კომიტეტში წასვლა, რომ იქ დაამტკიცონ  
თქვენი ორგანიზაცია.

— რა უნდა ვაკეთოთ პიონერთა ორგანიზა-  
ციაში?

იკითხა გოგომ.

— საქმე ბევრია გასაკეთებელი: საჭიროა პიო-  
ნერების ჩვეულებათა და კანონების შესრულება,  
კლუბის და სახელოსნოს მოწყობა, ვარჯიშობა,  
საუბრების ჩატარება და სხვა.

— საიდან შევძლებთ ჩვენ ყველაფერ ამას?

შეიკითხა გაკვირვებული ვანო.

— მე ვშიშობ, რომ იქნებ არაფერი არ გამო-  
გვივიდეს და ჩვენი კოლექტივი ვერ მოეწყოს.

— პიონერი არასდროს ასე არ ამბობს.

უთხრა მიხომ.

— თუ მოინდომებთ, ყველაფერი იქნება. —  
განაგრძო მან — რასაკვირველია, თუ ახალგაზრდათა  
კომუნისტური ორგანიზაცია არ დაგეხმარათ, მარ-  
ტო თქვენ ვერას გახდებით.

— მერე როგორი კანონები აქვთ პიონერებს?  
არ უნდა ილანძღონ და იგინონ, არა?

იკითხა სერგომ.

ყველაზე მთავარი კანონი ისაა, რომ პიონერი  
ერთგულია მუშათა კლასის და ლენინის ანდერძი-  
სა. რაც შეეხება გინებას, თქვენ თვითონ დაანე-  
ბებთ თავს. წინეთ ჩვენთანაც იგინებოდნენ, მაგრამ  
ახლა ყველამ თავი დაანება ამ ცუდ ჩვეულებას.

უპასუხა მიხომ.

— შენ თუ წამოხვალ ჩვენთან ერთად უჯრედ-  
ში, თორემ ჩვენ იქ არას გაგვიგონებენ.

მიმართა მას გოგომ.

— ძალიან კარგი, რადგანაც ასე გულით გინ-  
დათ გახდეთ პიონერები, წამოგყვებით.

— როგორ არ გვინდა!

— გვინდა!

— ყველას გვინდა!

წამოიძახეს ბავშვებმა.

— მაშ ნახვამდე გაუმარჯოს თქვენ განზრახულ  
საქმეს!

მიხო წასვლას აპირებდა, მაგრამ ბავშვებმა არ  
გაუშვეს, უნდოდათ გაეცილებიათ, მაგრამ მან ბავ-  
შებს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა არ დაანე-  
ბა, მიუბრუნდა მათ და უთხრა:

— თქვენ თუ „ინტერნაციონალი“ იცით და  
იმდერებთ, ეს იქნება ჩემთვის საუკეთესო გა-  
ცილება.

— როგორ არა, ვიცით!


— ვიცით!.. — უპასუხეს ბავშვებმა.

— მაშ მოდით დავიწყოთ სიმღერა!

ს. კამარაული.

(შემდეგი იქნება)





# ხუთი აღინარის სათავეში



6. ლ. ო. დ. ი. ნ. ი.

გათენდა დილა. მაგრამ ისევ ჩამონისლული!..  
ლაშე უთოვია. მთელი არემარე თოვლშია მო-  
ქცეული! გუშინ მწვანედ რომ ლაღანებდა, დღეს ასი  
წლის მოხუცს ჰგავს მთა და ბარი.

მოწყენილი გავყურებ ქერისა და ქვავის ნათე-  
სებს, რომელნიც თოვლის სიძიმის ქვეშ მიწაზე გა-  
წოლილან.

ვიცდით. იქნებ გამოიდაროს და ხვალ ვიმუ-  
შავებთ.

სხვა არა იყოს რა, დასათვალისწინებელი, გასა-  
ცნობი აქაც ბევრია. სოფ. ვეძათხევი უფსკრულზეა  
დაკიდული, ოცი-ოცდაათი კომლი იქნება, არა  
უმეტეს.

სახლები ფიქალი ქვისაგანაა ნაშენი, უმეტესად  
ორსართულიანია. ქვემოთ ბოსელია და ზევით ხალ-  
ხის სამყოფი. ქვედა სართული ცალი მხრით პირ-  
დაპირ მიწაზეა მოდგმული ისე, რომ სახლი წინი-  
დან ორსართულიანია და უკანა მხრიდან კი ერთ-  
სართულიანსა ჰგავს. ზამთარში თვით ხალხიც ქვე-  
და სართულში ჩადის. იქ უფრო თბილა და სითბო  
კი მეტად სანატრელია.

მთაში ცივი ზამთარი იცის, გრძელი, დაუსრუ-  
ლებელი, თითქმის 6—7 თვე.

არის კოშკებიც, ძველი ციხე-სიმაგრენი, 5—6  
სართულიანი, ოთხკუთხედი, პატარა ვიწრო სა-  
თოფურებით.

გავოცდილა გავკვირდი, ამ სახლთა არქიტექტუ-  
რას რომ დაეკვირდი, მთელი კოშკი ნაგებია ფი-  
ლაქნის ნამტვრევებით. მაგრამ არც კირია ნახმარი,  
არც დუღაბი, არც ტალახი... „მშრალი“ ნაშენია. ერთ-  
მანეთზე ალაგია ქვა და აყვანილია 5—6 სართული,  
მერე როგორ ჩაკოწიწებულთა, ჩალაგებულთა ერთ-  
მანეთში, თითქო საგანგებოთ გამოუკვეთიათო, ისეა  
ყოველი ქვა ერთმანეთზე გაწყობილი. და ასე ძლებს  
არა მარტო ერთი და ორი წელი, არამედ რამდენიმე  
საუკუნე. ვინ იცის, იქნებ ათასეულ წლებსაც გაუ-  
ძლო. და ასე ძლებს იმიტომ, რომ კედელს კონუსი-  
სებური აღნაგობა აქვს, ძირს განიერია და თავისკენ  
ნელ-ნელა ვიწროვდება. წნევა თანაბრადაა განაწი-  
ლებული.

— აი, ეს უციხეა უფრო კარგი, მაგარი...  
მითითებს ჩვენი მასპინძელი ერთ ციხეზე, რომ-  
ლის ქვა უფრო შავია, ვიდრე სხვა ციხეებისა. ეს  
შიფერის ქანია. ციხის კედლები შემოსილია ყვითე-  
ლი მღივრით, რომელსაც შორიდან ჟანგის ფერი  
დაჰკრავს.

— ეს რკინის ციხეა, მაგარი! ამის ქვა წოვა-  
თიდანაა მოტანილი,—მიხსნის იგი.

მართლაც, წოვათის ციხეებს რომ გადავყუ-  
რებდი მაღლიდან, სწორედ ასეთი ფერისა იყო...

და ახლა, მეოცე საუკუნეში, მე, ბარელს, ქა-  
ლაქის კულტურით შედარებით დამძიმებულს, მიკ-  
ვირს ის გამძლეობა, რომელიც ამ ციხის აშენებაში  
გამოიჩინა თუშთა მამა-პაპამ.

— წოვათიდან ზურგით არის მოტანილი, —დას-  
ძენს ჩემი მოსაუბრე და წოვათისაკენ იმზირება.

თუ კაცის ზურგით არა, ცხენით მაინც არის  
მოტანილი, ცხენის ზურგით, აქაურ ბილიკებზე მარ-  
ხილიც ხომ ვერ გაივლის.

კვილი მოგვესმა ამ საუბრის დროს, გაღმა  
მხრიდან ისმოდა ეს კვილი. გიორგი, ჩვენი მასპინ-  
ძელი, სწრაფად გადადგა ერთ ერლოზე და დაიკივლა:

— რაი ჰკივ, რა იყო?!

მივედი იქვე მეც.

გაღმა, ხევის მეორე ნაპირას, სოფელია პატა-  
ტარა, ჯვარბოსელი, ვეძათხევს უცქერს პირდაპირ,  
ისიც უფსკრულზე დაკიდული. ქალი გაღმომდგარა  
ერლოზე და ჰკივის:

— კაც გამოვიდეს ვინმე, ძროხა კვდება...

გიორგიც ეკითხება ხმამაღლივ. მათი ძახილი  
მთის ორწოხებში ჰპოულობს გამოძახილს. იმ სოფ-  
ლამდე ბილიკით რომ წავიდეს კაცი, 5—6 კილო-  
მეტრი უნდა გაიაროს, კიდევაც მეტი — აქ ერთი  
ვეძათხევის ერლოზეა გაღმომდგარი, მეორე ჯვარბო-  
სელში. ესაუბრებიან ურთიერთს, თუმც ეს საუბარი  
ყელისათვის მცირე ვარჯიშობა არ არის,

— რას გიკივის, გიორგი, რა იყო? — ეკითხე-  
ბა ზაქარია.

— ძროხა უკვდებათ და სახლში კაცი არა-  
ვინ არის... გამოვიდეს ვინმე, დაჰკლისო...



პიონერები კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს (ტფილისი, რკინის გზასთან არსებული ინტერნატი).

— სოფელი იქვე არ არის, დაუძახოს ვისმე, რაღაი აქეთ კივის?

გიორგის ჩაეღიმა ამ თქმაზე და გვიპასუხა:

— საქმე ის არის, რომ სოფელში მამაკაცი არაფინაა, ყველა ლუდის სასმელად წისულა გაღმა სოფელში, იქ ერთმა ლუდი გამოხადა და დაუძახა... ქალს კი არ შეუძლია დაკლას ადათით...

გიორგიმ გაგზავნა ერთი 18—19 წლის ქაბუკი: „გადი, გაეშველე, რა ამბავიაო“...

მას, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა, დიდ ფაციფუცში იყო, ცხენის მოსართავს ჰკერავდა, ამზადებდა.

— ჩემი ძმის შვილებიც მიდიან, კიმოთე დილას აღრიან წავიდა ცხენების ჩამოსაყვანად, მთაშია გაშვებული, ახლაც არ ჩამოსულა, შეიგვიანა, არ ვიცი რად...

და ჩვენ ნელი საუბრით აყუთ სოფელზე მიკრულ პატარა მინდვრებს. თოვლი თითქმის დადნა, რადგან მზეც გამოაჰყიტებდა ხოლმე. გვინდოდა გავგეშინჯა ნათესები და მცენარეულობა.

უფრო მეტი ქერი და სვილია.

— აქ პური ვერ მოდის, მეტად ცივა, — მეუბნევა გიორგი, — ძირს რომ ჩახვალთ, ალაზნის პი-

რებზე (აქ ალაზნის გულისხმობს თუშეთის, გომეწრის ალაზანს); იქ პურიც ბევრია, დიკაც... სხოც...

ქერი სთესია, მაგრამ ისიც ჯერ მწვანეა. ნიმუშებად ვარჩევთითო — ოროლა შეთეთრებულ თავთავს, რომელსაც ჯერ მომწიფებამდე კაი დრო უკლია. გარდა ამისა, რომ მოჰკრიფო საკმარისი ნიმუშები, იმ მრავალ სარეველ შორისაცაა საჭირო ძებნა, რომელიც აქ მეტისმეტად უხვდაა. აქ შეხედვებით როგორც ნამდვილ სარეველ მცენარეებს, ისე ალბიური მდელოებიდან ჩამოჰკრილ ბალახეობასაც. ჩანს, რომ თუში ყანას არ მარგლის, ისე არ დაფოფინობს ზედ, როგორც სვანი<sup>1)</sup>. ეს გასაგებიცაა იმ მხრივ, რომ თუში ხომ ბართანაცაა დაკავშირებული, ალვანშიაც სთესავს და ჰხნავს. იქ თუშს, განსაკუთრებით წოვეებს, ორი სამი დღის მიწა მაინც აქვს. პატარა ბალი და ბოსტანიც; მერე მთავარი წყარო ცხოვრებისა მაინც ცხვარია. ყოველ ოჯახს 100—150 ცხვარი მაინც ჰყავს. იშვიათი არ არის, როდესაც 1000 ცხვარი და მეტიც ამშვენებს ილაღს და ერთის საკუთრებაა. ცხვრით უფრო მდიდარნი არიან წოვა თუშები.

ქერის ნათესებ შორის პატარა ნაკვეთზე სელი მოჩანს; მისი ლურჯი ყვავილები თოვლს გაეძარცვნა, მაგრამ მაინც ლამაზი იყო.

1) იხ. „თოვლიან მთებში“ წიგნი II, „უშხას სადარაჯოზე“.



— სელს ზეთის გამოსახდელად ვთესავთ ცოტ-  
ცოტას. მაგისი ზეთი გემრიელია.

— თოვლია რომ გააფუჭოს?—დავინანე.

— გააფუჭებს, თუ ამაღამ ცა მოიწმინდა.  
სელს კი არა, ქერსაც გააფუჭებს, დააძრობს, ველარ  
დამწიფდება. ახლა ჩვენი სანატრელი ისაა, რომ რა-  
მოდენიმე დღე არ მოიწმინდოს: მოწმენდილმა ლა-  
მემ ასეთი თოვლის შემდეგ ყინვა იცის...

ბარში კი ამ დროს სიციხისგან იწვის ყველაფერი.

ჩვენი აბგები გაივსო მოგროვილი მისალით;  
ის იყო დაბრუნებას ვაპირებდით, რომ გიორგი უც-  
ბად მოტრიალდა და გვითხრა:

— თქვენ თვითონ ჩამოდით და მე წავალ.

და თითქმის სირბილით დაეშვა სოფლისკენ.

გადვიხედეთ. ჩვენი ბინის წინ ხალხი შექუ-  
ჩებულნიყო, ქალი და კაცი. რაღაც ამბავი მომხდა-  
რა, ეტყობა.

ავუჩქარეთ ნაბიჯს და მალე ჩავედით ხალხთან.  
ყველას შეწუხებული სახე ჰქონდა, ერთ ვაჟკაცს  
ესამძიმებოდა ყველა.

გაბოც იქ იყო. ვკითხეთ ამბავი.

— ცხენები ჰყავდა მთაში, საძოვარზე გაშვე-  
ბული; დილას წავიდა ჩამოსარეკად, მაგრამ ვერ  
ნახა, ჯერ ეგონა: „ვაი თუ ქისტებმა გარეკესო“,  
მაგრამ კარგი ხანს ძებნის შემდეგ ნახა,—ხევში გა-  
დაჩეხილიყო ოთხი ცხენი, ერთი კი, აგერ ის, გა-  
დარჩენილა...

იქვე ბოძზე მიბმული იყო თუშური ცხენი. და-  
ლონებულს თავი დაეკიდა ძირს, თითქოს თავის მო-  
ძმეებს დასტირისო...

— ცულ ამინდში ცხენი მყუდრო ადგილს  
ეძებს. თავი უნდა შეაფაროს და მირბის უგზო-  
უკვლოდ. მეტადრე თუ ქარიცაა... ესენიც გადასუ-  
ლან ერთ შვეულ, ციცაბო კლდეზე, დასხლტომიათ  
ფეხი და ხევში ჩაჩეხილა ოთხივე. იქნებ მარტო  
ერთი დასხლტა, სხვებს დაეჯახა და თან ჩაიტანა.

მეტად მოწყენილია კი მოთე, მეტად. გულწრფე-  
ლია ხალხის სამძიმარიც; გულში ეს კაცი მდიდარი  
იყო, მთაში ნასუქი ხუთი კარგი ცხენი ჰყავდა,  
დღეს კვე გაღარიბებულია. ხუთიდან მარტო ერთი-  
ლა შერჩა.

უდროვოდ მოსულმა თოვლია დაუღუბა საუ-  
კეთესო ცხენები...

— აი, თუ ასე დაიღუბა ვინმე, რომ ცხორი  
აღარ შერჩა,—მეუბნება ალექსი,—გამართავს ოჩხარს,  
გამოხდის ლუდს და მივალთ ლუდის სასმელად ყვე-  
ლა, მეზობელი და მოკეთე. ზოგი ათ ცხვარს შევაწევთ,  
ზოგი ხუთს, ზოგი კიდევ 15 და 20 — ვისაც რა შეუ-  
უძლია .. და გაიმართა კაცი, კვლავ გაუჩნდა საკმა-  
რისი, რომ თავი ირჩინოს...

— კაი ჩვეულება გქონიათ, ძალიან კარგი!..

— კიდევაც რომ კარგია, მაშ რა ჰქნას უცხვა-  
რო თუშმა, როგორ იცხოვროს.

6. კეცხოველი.




ტუილ წითელარბილის სიმღერა.

მე რად მიზღუ ეს თოვლი,  
ეს მახვილი ნაქები,  
თუ მტერს ჩვენზე წამოსულს  
გმირულად ვერ დავხვდები.  
ჩვენი მკლავი განსაცდელს  
ასჯერ შებრძოლებია,  
ხან კოლჩაკის ტყვიიდან  
მკერდი დაგვწყლულეობია,  
ხან კი მახნოს ბანდები  
შემოგვრტყმია ქამარად.  
მაგრამ უიმედობით  
ვერაფერმა დაგვფარა!  
გავიტანეთ დღეები  
მტვრევითა და ხმაურით,  
ბევრი ვნახეთ ბრძოლაში

სევდა და სიხარული,  
და დღეს, როცა ველირსეთ  
გამარჯვების განთიადს,  
ძველი თოფი ხელიდან  
მაინც არ დაგვევარდნია.  
ვიცავთ მშრომელთ სამშობლოს  
და ხალისი გვედება,  
როცა ვხედავთ ნაომი  
ქვეყანა რომ შენდება.  
და თუ ისევ მოგვესმა  
მოწოდების ძახილი,  
მზად ვართ დავატრიალოთ  
ძველებურად მახვილი.

კ. ლორთქიფანიძე.



# პიშა - მსახიობი პიშა

მიშა იდგა და თვალებს აცეცებდა<sup>1)</sup>.

პირდაპირ მის წინ გლეხის ქოხი იდგა. დიო ფანჯრიდან მაგიდა და ზედ საკმაოდ მოზრდილი შავი პურის ნაჭერი მოჩანდა. იგრძნო, რომ შიშა და „დათრევა“ გაიფიქრა, მაგრამ ამ დროს მისი გონება სხვა რამემ მიიზიდა.

აქვე გლეხის ქოხის გვერდით დიდებულად მოწყობილი დარბაზი დაინახა, თითქმის იმაზე უკეთესი, კინემატოგრაფის შენობაში რომ უნახავს, როცა გაზაფხულზე იყო იქ. ამ დარბაზში ყველაფერი ისე იყო, რომ ვერ მოითმინა და მიუახლოვდა, მაგრამ ნახა, რომ დარბაზის კედლები და მთელი სამკაული რაღაც უბრალოდ და საეჭვოდ იყო გაკეთებული; რომ დიდხანს ეთვლიერებინა, ისიც არ აცალეს, პავლიონში შემოვიდა უამრავი ხალხი და რეჟისორმა განაცხადა:

— აბა, ადგილებზე, ახლავე ვიწყებთ!

ქოხში შემოვიდნენ იგივე გლეხები, რომლებსაც მიშასთან ერთად გაუკეთეს გრიმები. ქოხის პირდაპირ ვიღაც თეთრხალათიანმა კაცმა რაღაც სამ ფეხზე შეყენებული ყუთი წამოღდა.

დაიწყო რეპეტიცია.

გლეხები ისხდნენ ქოხში და რაღაცას საუბრობდნენ. ამ დროს ქოხში შემოვარდა კომკავშირელი ყვირილით, გლეხკორი მოჰკლესო. გლეხები ადგნენ და გავიდნენ ქოხიდან.

რეჟისორი კმაყოფილი დარჩა ისევ დაიჭირეს თავისი ადგილები, რეჟისორმა ბრძანა:

— სინათლე!

მიშა გაშეშდა და თვალები დახუჭა.

უცებ არაჩვეულებრივად განათდა ყველაფერი. მთელი ქოხი აივსო ზღვა სინათლის შიშინით და ხმაურით.

— დაიწყეთ!

ხალათიანმა ყუთის ტარი აატრიალა.

გლეხებმა მიიღეს ისეთი შეხედულება, თითქოს საუბარი ჰქონდათ, ერთმანეთს ესროდნენ სიტყვებს.

— როგორაა საქმე?

— ისე.

— საქმე ასეა...

უცებ დაიყვირა რეჟისორმა:

— კომკავშირელი, გამოდი!..

წუთში ქოხის კარი გაიღო და კომკავშირელი შევარდა შიგ ყვირილით:

— ამხანაგებო, სემიონოვი მოჰკლეს!

ყველანი წამოცვივდნენ და გარეთ გავარდნენ. სინათლე ჩაქრა და უცებ ყველაფერი დაბნელდა. მიშამ თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ ამ დროს გადაღება დაიწყო დარბაზში. გლეხები გაექანენ პავლიონიდან, მაგრამ სამაგიეროდ გამოვიდნენ ძვირფასად შემოსილი ქალბატონები და ოფიცრები, ლურჯხალათიან მუშებს გადმოჰქონდათ დარბაზისკენ სინათლეები.

მიშა ხანდახან თვალს მოჰკრავდა ივანეს, რომელიც დარბოდა და აწესრიგებდა ყველაფერს.

როგორღაც მოხდა ისე, რომ ივანეც მოჰკრა თვალი მიშას და ჰკითხა:

— ხომ მოგწონს, მიშა!

— საშინლად!

— რაა აქ საშინელი? ხომ გესმის, რა ხდება აქ.

— მესმის... გადაღებაა...

— სწორია, ამას ეწოდება გადაღება პავლიონში. ხომ ხედავ, რამოდენა სინათლეა საჭირო. ამ სინათლეს ვლებულობთ ელექტრონის საშუალებით, ელექტრონის დენს კი სპეციალური დინამო-მანქანა იძლევა. ხომ შეხედე, როგორც გადავიღეთ გლეხები, ახლა ნახავ სხვა გადაღებას. ჩვენ შეგვიძლია ერთსადიმავე პავლიონში მრავალი ასეთი სხვადასხვა შემთხვევა გადავიღოთ.

— ივანე! — დიძახა ამ დროს ვიღაცამ, მოდი აქ, დავიწყეთ ბარემ.

— მოვდივარ. აქ იყავი, მიშა.

სინათლე ისევ აენთო, მაგრამ წინანდელზე უფრო ძლიერად. მიშა ხედავდა, რომ ამ სინათლეს უშვებდნენ ვიღაც სპეციალურად მიჩენილი კაცები. მას ქუჩაში უნახავს განათება, მაგრამ ეს განათება უფრო სხვანაირი იყო.

<sup>1)</sup> დასაწყისი იხ. „პიონირის“ № 2.

დაუკრეს მუსიკა. დარბაზის კარებში გამოჩნდნენ წყვილ-წყვილი, ძვირფასად ჩაცმული ადამიანები. ისინი ცეკვავდნენ.

რეჟისორი ყვიროდა რუპორში, რომ ხმა ყველასთვის მიეწვდინა.

— შეჩერდით, წადით მარცხნივ. მობრუნდით ფანჯრისკენ, თითქოს გცხელათ, აი ასე. თქვენ გამოიწვიეთ ვინმე ცეკვაში.

მიშამ იცნო აქ ის ქალი, რომელთანაც ის გადაიღეს რევოლუციის მუზეუმთან.

შეამჩნია, როგორ გამოეყო იგი სხვებს და ფანჯარასთან შეხვდა ბრწყინვალე ოფიცერს. მიესალმა და შემდეგ მათ დაიწყეს თამაში. ყველა ცეკვავდა. გადაღება ამით დასრულდა. მაგრამ რეჟისორი გამოვიდა ისევ პავილიონში და განაცხადა:

— სიმონიძის ქალო, კარბელაძე, აგიაშვილო, გამოდით, ვიწყებთ გადაღებას.

დარბაზი დაცარიელდა. ხალათიანი მამაკაცი აქაც წინ წამოდგა. მომართა გადაღებები ყუთი, რომელსაც გვერდით რამოდენიმე ფარანი მიუდგეს. მსახიობებმა გაიმეორეს ისევ ძველი მოქმედება. სიმონიძის ქალი ისევ შეხვდა ფანჯარასთან ოფიცერს, მიესალმნენ და შემდეგ დაიწყეს ცეკვა.

— რა საოცარია! ერთსადიმავე მოქმედებას ორჯერ იღებენ, — გაიფიქრა მიშამ, — ტყვილა კარგავენ დროს, მაგრამ ალბათ აწი მალე დასრულდება ყველაფერი და მეც გამათავისუფლებენ.

მაგრამ გადაღება არ თავდებოდა.

ხალათიანმა მამაკაცმა ყუთი უფრო წინ წასწია და სიმონიძის ქალის სახის გადაღება დაიწყო. სწორედ ამ დროს მიშას გვერდით ჩაუარა ივანემ.

მიშა მივიარდა მასთან და ჰკითხა:


— ძია, ტყვილა დროს რათ კარგავთ, რომ სხვადასხვა მანძილიდან იღებთ?

— აი რატომ, მიშავ: თუ ჩვენ გვინდა მაყურებელის ყურადღება მივაქციოთ რომელიმე მომენტზე, მას განსაკუთრებულად გადავიღებთ ცალკე. ხომ ხედავდი, რამოდენა ხალხი იყო დარბაზში გადაღებამდე. ეკრანზე ისინი გამოჩნდებიან წვრილად, მაგრამ, რომ მაყურებელი მიხვდეს, თუ რას შერევა ამ დროს მთავარი მოქმედი გმირი, მას ამიტომ ცალკე ვიღებთ. ხომ მიხვდი ახლა, თუ რად „კარგავთ დროს?“ ხომ კმაყოფილი ხარ შენი აქ მოხვედრით?

— კმაყოფილი ვარ! — უპასუხა მიშამ.

გადაღებას ისევ განაგრძობდნენ. ხან იქ და ხან აქ ენთებოდა ელექტრონის ფანრები, ყოველი მხრიდან ისმოდა ხმაური, მოძრაობა, რეჟისორის ხმა, მიშა კი იდგა თავისთვის ფიქრებში ჩაძირული და წუხდა; რა იქნებოდა შემდეგ, როცა გადაღება დამთავრდებოდა?!

გააძრობენ ხალათს და ქუჩაში გააგდებენ, ისევ მოუხდება ქუჩებში წანწალი, შიმშილი, კაპეიკების თხოვნა, მოგზაურობა მატარებლის ლერძზე. მწუხარ-



პიონერები სწავლობენ ტოპოგრაფიას (ტფილისი).



პიონერ-კოლექტივი.

რებამ შეიპყრო ისე, რომ ტირილი მოუნდა, მაგრამ ამ დროს მოესმა ივანეს ხმა:

— მიშა!..

მიშა წამოხტა სწრაფად და გაიქცა რეჟისორის თანაშემწის დაძახილზე.

— ახლა შენი გადაღება იქნება, აი შენ უნდა მიხეიდე იმ წითელარმიელთან და უთხრა, რომ სოფელში მშვიდობაა.

პირველად რეპეტიცია გაიარა და შემდეგ, როგორც აუხსნეს, თვითონაც ისე გაიმეორა, მაგრამ, როგორც კი ჩაქრა თვალის მომჭრელი სინათლე, თვალები ეტკინა და ტირილი დაუწყო.

— აბა, ეს რას ნიშნავს?

— თვალები ამტკივდა, ძია.

— არაფერია, მიუჩვეველი ხარ. ეს დიდი სინათლის ბრალია. მალე გაგივლის, წყნარად ექიმთან, აქ იმდენი ხალხია, რომ შეიძლება რამე მოხდეს, ამიტომ ჩვენ საკუთარი ექიმი გვყავს. შემდეგ კი სასადილოში წავიდეთ.

ერთი საათის შემდეგ მიშა მართლაც სასადილოში იჯდა ივანეს გვერდით და შეექცეოდა მსუქან საქმელს. ასეთი ტკბილი საქმელი მას მის სიცოცხლეში არ ეჭამა. უხაროდა და სიამოვნებით იღიმებოდა. ბოლოს ვერ მოითმინა და წამოიძახა:

— ოხ, რა კარგია აქ ყოფნა, რა კარგი!..

მიშას წუხილი, რომ მას ქუჩაში გააგდებდნენ, არ გამართლდა—პირიქით, ივანე ძლიერ დაინტერესდა მიშათი და თვითონ წაიყვანა შინ.

მიშასთვის დაიწყო ახალი, არაჩვეულებრივი, ტკბილი ცხოვრება.

შიშშილობა, მათხოვრობა, ცის ქვეშ ლამების თენება, მატარებლის ღერძით მოგზაურობა—ყველაფერი ეს წარსულში დარჩა, რომლის მოგონებაც ახლა არც სურდა.

დღისით მიშა ესწრებოდა გადაღებებს, საღამოობით იჯდა ივანესა და მისი ცოლის გვერდით და სწავლობდა კითხვას. პირველად გაიგო, თუ რა ყოფილა სწავლა. უხაროდა, რომ თვითონ კითხულობდა ანბანს.

— ყოჩაღ, მიშავ, — ეუბნებოდა ივანე, — გაიზრდები და კინემატოგრაფის მსახიობი იქნები. შენ გავქვს უნარი. იმისათვის, რომ კარგი მსახიობი ვახდე, რასაკვირველია, საჭიროა ნიჭი და სწრაფვა ამ საქმისკენ, ისე არაფერი არ გამოვა. საჭიროა ამიტომ სწავლა, შრომა, უნარიანობა.

— მე აუცილებლად ვისწავლი, — უპასუხებდა მიშა. ხანდახან ღამით გამოიღვიძებდა მიშა და დიდხანს ფიქრობდა მის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე.



ერთხელ ივანეს ესტუმრა ვილაც კაცი და დიდხანს საუბრობდა მისთან. საღამოს ივანემ დაუძახა მიშას და უთხრა:

— აი, ამხანაგო გიორგი, ჩვენი მიშა. ამისთვის საჭიროა, ჩემი ფიქრით, სცენარის დაწერა. ნიკიერი ბავშვი. ის მონაწილეობდა ჩვენს სურათში „სოფლის სიმართლეში“.

— რატომ არა, შეიძლება დაიწეროს, — დაეთანხმა გიორგი, — რაიმეს მოვიფიქრებთ.

მიშამ მორცხვად ჩაახველა.

— შენ რას იტყვი, მიშა, — ჰკითხა ივანემ მიშას.

— ეს თქვენ ჩემთვის გინდათ ახალი სურათის გამოგონება?

— ჰო.

— მაშინ აბა მე მინდა დამიტრის ვგავდე.

— რომელ დამიტრის?

აქ მიშა მოუყვა ამბავს, მისი ამხანაგის ნაამბობს, ვილაც ბავშვზე, რომელსაც დამიტრი რქმევია და გმირული მონაწილეობა მიუღია წითელი არმიის ერთ-ერთ ბრძოლაში.

გრილ ღამეებით მიშა სულ ფიქრობდა იმ დამიტრის შესახებ. სურდა ისეთივე ყოფილიყო, როგორც იგი.

დამიტრის დაქონდა თურმე პროკლამაციები ფარულ ორგანიზაციებსა და წითელ არმიებს შორის, იღებდა უშუალო მონაწილეობას ბრძოლებში და იყო ბუდიონის ცხენოსანთა ჯარში.

მიშა გაიტაცა დამიტრის ამბავმა. გატაცებით მოჰყვა მის თავგადასავალს, რითაც ძლიერ დაინტერესა გიორგი. გაუხარდა თავის მხრივ ივანესაც.

— ყოჩაღ, მიშავ! ამ ამბავიდან მშვენიერი სცენარის დაწერა და სურათის დადგმა შეიძლება, ამხანაგო გიორგი.

გიორგი დაეთანხმა.

— მხოლოდ ეს თემა უნდა გაიშალოს, მაშინ კარგი სცენარი გამოვა.

გიორგი აქვე შეუდგა სცენარის დასაწყისის წერას. მიშა თვალს ადევნებდა და ფიქრობდა, როდის ისწავლიდა ასეთ ჩქარ წერას.

ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ მიატოვა წერა და დაწერილის კითხვა დაიწყო.

### პირველი ნაწილი.

1. ქალაქის ქუჩა. წითელი არმიის უკანდახეული ნაწილები. ტროტუარზე მუშების ჯგუფი. მოდის წითელარმიელი და ამბობს:

— ჩვენ მივდივართ, მაგრამ არა დიდი ხნით. მუშების საქმე გაიმარჯვებს.

2. იგივე ქუჩა. გამოჩნდა თეთრგვარდიელების ჯარი. ტროტუარზე ლამაზად გამოწყობილი ქალები და კაცები გამოეფინენ.

ოფიცერი უახლოვდება მათ და ეუბნება:

— ბატონებო, ჩვენ ვაფიქრებთ ბოლშევიკებზე.

3. მღვდელი ხვდება ლოცვით მოხალისეებს.

4. ყორეზე ზის პატარა ბიჭი. გვერდით მოდის ოფიცერი. ბავში ენას უჩვენებს. ოფიცერი მათრახს ურტყამს. ბავში გარბის სადღაც.

5. ქალაქის განაპირას სახლი.

6. სახლში მოკრებილან ბოლშევიკები. აქ მოვარდება ბავში...

აქ ამხანაგი გიორგი შეჩერდა და საათს დახედა.

— გვიან ყოფილა. მაშ მე ამ სცენარს დავსრულებ და გადმოგცემთ.

გიორგი წავიდა. ივანემ, ჩაის სასმელად რომ დასხდენ, მიშას უთხრა:

— ახლა ხომ იცი, რას ნიშნავს სცენარი. აი, ამხანაგი გიორგი სცენარისტია, ესე იგი სცენარების დამწერი. ის მას იგონებს, იღებს ცხოვრებიდან რომელიმე შემთხვევას, ფართოდ აღწერს, რეჟისორი კი შემდეგ ამისდა მიხედვით იღებს იმ ქუჩას, იმ სახლს, იმ ქობს... აი, ასე კეთდება სურათი. მთავარი, მაშასადამე — სცენარის დამწერი, რეჟისორი და მსახიობია. სცენარისტი ამბობს, რა უნდა იქნეს გადაღებული, რეჟისორი ასწავლის, როგორ უნდა იქნეს გადაღებული და როგორ უნდა ითამაშოს მსახიობმა, მსახიობი კი ასრულებს იმას, რასაც ეუბნება მას რეჟისორი და სცენარი. არაფერს ვლაპარაკობ იმ პირების შესახებ, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სურათის გადაღებაში, მაგალითად, გრიმის მკეთებელი, ელექტროტექნიკოსი, რომელიც სინათლეს იძლევა და სხვა.

მიშამ დალია ჩაი და შემდეგ ჰკითხა:

— კი, მაგრამ როგორ უნდა დაიმსხვოვრო ეს ყველაფერი?

— ამისთვის სწავლაა საჭირო. სწავლა იძლევა განვითარებას, იძლევა საშუალებას, რომ ადვილად შეითვისო რომელიმე მეცნიერება. კინემატოგრაფიაც მეცნიერების ნაწილია. არსებობს თითქმის კინემატოგრაფიული ტექნიკუმები, ესე იგი ისეთი სკოლა, სადაც ადამიანი იღებს ყოველგვარ ცოდნას ხელობის ამ დარგში...

ივანე ლაპარაკობდა, მაგრამ მიშა, რომელიც პირველად ყურს უგდებდა ბეჯითად, ახლა უკვე სთვლემდა; ივანემ შენიშნა ეს.

იმ ღამით მიშას დაესიზმრა, თითქოს მიდიოდა ქუჩაზე და წინ შემოხვდა ყოფილი ქუჩის ამხანაგი ვანო. მან გამოიწვია მიშა ფულის თამაშში.



მიშა დათანხმდა, მაგრამ, როცა ააგლო ფული, უცებ ფული გადაიქცა რევისორ პეტრეს სახედ, რომელმაც მიაძახა მას:

— ამას რას შვრები, მალე მოემზადე გადასაღებად. ყველაფერი განათდა. მიშას სურს გამოერკვეს, მაგრამ ესმის ხმები რევისორის:

— მიშა, წამოდექი! მოემზადე!

შეწუხდა მიშა, გაალო თვალები და გამოედვიდა. უკვე მზე ამოსულიყო. მინათებოდა პირდაპირ საწოლზე; თავზე ადგა ნინო და მას აღვიძებდა:

— წამოდექი, მიშა! ჩქარა გადაღებაზე უნდა წახვიდე. გარეთ ფანჯარასთან ქლურტულობდენ ბელურები. მზე მხიარულად სხივებს აფენდა დედამიწას.

როგორც იყო, მიშა შეეჩვია თავის ახალ ცხოვრებას. გულწრფელად შეუყვარდა ივანე, უკანასკნელიც არაჩვეულებრივ კარგად ეკიდებოდა ბავშვს. სწავლის საქმე წინ მიდიოდა. მალე მიეჩვია კითხვას და წერასაც.

სადამოობით იჯდა და ათვლიერებდა სურათებიან წიგნებს. ერთხელ ივანემ გამოჰკითხა მიშას მისი დედ-მამის შესახებ. მიშამ ვერ გაბედა ტყვილის თქმა და მოუთხრო ყველაფერი: თუ სად იმყოფება დედ-მამა, სადაა მისი სოფელი და როგორ გამოიპარა სახლიდან და მოიარა თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი.

ივანე ჩააცქერდა მიშას თვალებში და უთხრა:

— იცი, მიშა, თუ ასეა, შენ მოვიხდება, მაშინ სადამე, შინ დაბრუნება.

მიშას გულმა ცემა დაუწყყო.

— რატომ, ძია ივანე?

— როგორ თუ რატომ? ისინი დარწმუნებული იქნებიან, დიდი ხნიდან, რომ შენ ცოცხალი არ ხარ. საჭიროა წერილის გაგზავნა, გაუხარდებათ, რომ გაიგებენ, თუ სად ხარ და რას შვრები.

ივანემ იმ დღესვე გაამზადა წერილი და გაგზავნა. ერთი კვირის შემდეგ პასუხიც მოვიდა. სწერდა მიშას ძმა თედო. ის დიდი ხანია დაბრუნებულია წითელი არმიიდან და ახლა სოფლის აღმასკომის თავმჯდომარედ იყო. წერილში ეწერა იმის შესახებ, თუ როგორ მომკვდარიყო მიშას მამა. სხვები უთვლიდენ მოკითხვას. დასასრულ თედო მადლობას უთვლიდა ივანესაც მის ძმაზე ასე ზრუნვისათვის. მიშა ბეჯითად უგდებდა ყურს, როცა ივანე კითხულობდა წერილს და შემდეგ ტირილი დაიწყო.

— რა იყო?

— მამა მეცოდება!

— სულერთია, მაინც ვერ უშველი ცრემლით. დაჩუმდი, წავიდეთ გადაღებაზე.

მზე არაჩვეულებრივად ანათებდა. ქუჩებში ტრამვაის ვაგონები მხიარულად მიქროდენ. ტრეტუარები სავსე იყო ხალხით. მიშა გაერთო და არ ტაროდა.

— აი, მიშა, — ეუბნებოდა ივანე, — ხომ ხედავ, რა კარგი მზიანი დღეა. უნდა ვასარგებლოთ ამით და დღეს ბუნების გადაღება ვაწარმოოთ. პავლიონში, შენ იცი, ჩვენ ხელოვნურად ვაკეთებთ სხვადასხვა ოთახებს და სხვა. ამას დეკორაციები ეწოდება. საზღვარგარეთ, მაგალითად, ასეთი დეკორაციის საშვალებით მთელ სასახლეებს და ქალაქებს აგებენ. მაგრამ ხანდახან წარმოებს პირდაპირ ქალაქის ქუჩის, ტყის, მთების გადაღებაც. აი, დღეს ასეთი გადაღება გვექნება. თუმცა შენ უკვე იცი ეს, განა ასეთი გადაღების დროს არ შევხვდით ჩვენ ერთმანეთს?

ტრამვაი გაჩერდა. ივანე და მიშა ჩამოვიდნენ. გასწიეს ფაბრიკის კარებისკენ, სადაც უკვე რამოდენიმე ავტომობილი იდგა.

ივანემ ცოტა ხნით დატოვა მიშა და როცა დაბრუნდა, უთხრა:

— მიშა, იცი რა გითხრა? შენ დღეს ჩემთან ვერ წამოხვალ. შენ დარჩები ბორისთან, ეს უკეთესი იქნება. მიშას წინ იდგა ის კაცი, რომელსაც ივანემ ბორია უწოდა, მაგრამ მიშამ უკვე იცნო ეს კაცი, რომელიც სამუხებზე შემდგარ ყუთის ტარს ატრიალებდა ერთხელ გადაღებისას.

— წავიდეთ, მიშა, — უთხრა ბორიამ, — აი, მე ახლა გაგაცნობ ჩემს მუშაობას. უჩემოდ არ შეიძლება არცერთი სურათის გაკეთება. ხომ მიგიტყვივა ყურადღება, როცა ამბობენ „სურათის გადაღებო“. ეს მე ვარ, რომ ვიღებ სურათს ფოტოგრაფიულად. გაგიგონია, რას ნიშნავს ფოტოგრაფი?

— როგორ არა. ისინი ბალებში ღვანან და სურათებს იღებენ.

— მართალია, გცოდნია, მაგრამ იცი მერე, როგორ კეთდება ეს, როგორ იხატება შენი სახე სურათზე?

— არა.

— მაშ წავიდეთ ფოტოგრაფთან და იქ ნახავ ყველაფერს.

ს. გ.





# საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავი.

შვიდი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა დაამხეს ბურჟუაზიულ—მენშევიკური ხელისუფლება და სახელმწიფოს სათავეში მოექცენ. ამიტომ, 25 თებერვალის საქართველოს მშრომელი მასებისათვის განსაკუთრებული ისტორიული დღეა.

თვითმპყრობელობის დამხობის და საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს წელში გატეხილი საქართველოს ღარიბი გლეხობა და მუშათა კლასი დარწმუნებული იყო, რომ ახლა კი ცოტა თავისუფლად ამოისუნთქავდენ, მუშა ქარხანას მიიღებდა და გლეხი მიწას. ეს, რასაკვირველია ასე არ მოხდა, მენშევიკებმა საბოლოოდ გასცეს საქართველოს მშრომელი ხალხი და მემამულეთა და ბურჟუაზიის ლაქიებად გადაიქცენ. იმის მაგივრად, რომ მემამულეების მიწები გლეხებისათვის გადაეცა, მენშევიკურმა მთავრობამ გააუარესა მათი მდგომარეობა, დაივიწყა ზრუნვა მათ მდგომარეობაზე. მენშევიკური მთავრობა ჩვენს პროლეტარიატს, მშრომელ ხალხს მის ისტორიულ გზას აშორებდა, ყოველნაირად ხელს უშლიდა. მენშევიკური მთავრობა მუშათა კლასის ინტერესებს საბოლოოდ და გარკვეულად ღალატობდა.

რამდენადაც უფრო მკვეთრ ფორმებს იღებდა კლასთა ბრძოლა საქართველოში, იმდენად უფრო უსირცხვილო, ბინძური და გამცემი ხდებოდა მენშევიკური მთავრობა; მენშევიკური საქართველოს მთელი ისტორია გლეხურ აჯანყებათა ისტორია იყო.

ცხადია, ასეთი აუტანელი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა; მენშევიკურ-ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ იფეთქა გლეხურმა მასიურმა აჯანყებებმა მთელ საქართველოში, საქართველოში გაისმა ოქტომბრის გუგუნე.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით და რუსეთის წითელი არმიის მეგობრული დახმარებით დაამხეს მენშევიკური მთავრობა. ეს მოხდა, როგორც ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, 1921 წლის 25 თე-

ბერვალს, ამიტომაც, რომ 25 თებერვალის საქართველოს ოქტომბერია. მას შემდეგ 7 წელმა განვლო და ყოველი წელი იყო ის აგური, რომელიც ამაგრებდა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. გასაბჭოების 7 წლის თავზე ჩვენს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას მრავალი მიღწევა აქვს: დანგრეული და განადგურებული მრეწველობა აღდგენილია, მოშლილი საერთო მეურნეობა წელში გასწორდა, ერთა შორის მშვიდობიანობა დაშყარებული, სწავლავანათლება გახდა მასიური და ვაფართოვდა.

მენშევიკების დროს საქართველო ეკონომიურად ძალზე ჩამორჩენილი, გაპარტახებული მხარე იყო. სოფელი ჩარჩ-ვაჭრების, ოინბაზების და წურბლეების ანაბარად იყო დატოვებული, სიმშილი და სიბნელე ბატონობდა მაშინდელ სოფელში.

დღეს კი, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გამოვიდა უკულტურობიდან, სიბნელიდან, ნივთიერი სიღლახაკიდან და სწარმოებს გაცხოველებული სოციალისტური აღმშენებლობა.

ამავე შვიდი წლის განმავლობაში დაიწყო ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, ავაშენეთ ზაჰესი და სხვ. მრავლდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები: ქუთაისში, ოზურგეთში, ფოთში და ა. შ. სასოფლო მეურნეობა ყოველგვარ დახმარებას იღებს მთავრობისაგან, გლეხური მეურნეობა საგრძნობლად განთავისუფლებულია გადასახადისაგან, სოფელს ეძლევა ტრაქტორები, აგროდახმარება და სხვა, სოფელი მოფენილია ახალი სკოლების ფართო ქსელით, სწარმოებს გლეხობის კოლექტიური დარაზმვა და სხვა, ასე რომ გასაბჭოებიდან იწყება საქართველოს მშრომელი ხალხის ოქროს ისტორია, ნივთიერი და კულტურული აყვავება, რაც სოციალიზმის დაშყარების საწინდარია.

ვაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავს!

ვ. ლუარსაშიძე.

## ვაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის შვიდი წლის თავს საქართველოში!

### სამოქალაქო ომის წითელი გვირაბი.

23 თებერვალს წითელი არმია ზეიმობს, ამ დღეს ჩვენი ხმა უფრო ხმაბაღვალია ჰქუხს და სიმღერები კი განსაკუთრებული სიმხიარულით სჭექენ, ათი წელი უსრულდება ჩვენს ძლიერად მოღვაწე წითელ არმიას, რომელიც დარაჯად უდგია მუშებს და გლეხებს, სდარაჯობს იმ უფლებებს, რომლებიც მოიპოვა ოქტომბრის რევოლუციამ.

ეს უფლებები ამბობენ: „მთელი ძალა-უფლება მუშებს და გლეხებს“. წითელმა გმირებმა დაამარცხეს ჩვენი მტრები და ექსპლოატატორები, რომლებიც აიძულებდნენ ძველ ჯარისკაცს დაუცვა უთანასწორობის ქვეყანა, მემამულეთა ძალა-უფლება, მეფის ტახტი, კაპიტალისტების ხელისუფლება, ხელისუფლება სტრატეგების. ძველი ჯარისკაცისგან მოითხოვდნენ „სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის“ თავდადებას. დიახ, ეს სამშობლო იყო კაპიტალისტების და მემამულეთა სამშობლო; იმ დროს კაპიტალისტები შეთანხმებას ახდენდნენ სხვა ქვეყნის კაპიტალისტებთან, ხდებოდა მათ შორის სისხლის ღვრა და მუშები და გლეხები იძულებული იყვნენ წასულიყვენ ომში; იღვრებოდა ადამიანთა მილიონების სისხლი საჭირო მიწების მოსაპოვებლად და დასანაწილებლად.

იქ კი, სადაც ჯარისკაცებს არ უნდოდათ წასვლა საომრად, მათ უფრო ავიწროებდნენ და მოსახლეობა რჩებოდა უფრო გაძარცვული და განა შექმნილი მილიონიან პროლეტარულ მასებს ამისი მოთმენა მომავალში? არა! და, აი, კლასიური ბრძოლის ქარკვეცხლოში წარმოიშვა და გაძლიერდა ძლიერად მოღვაწე წითელი მუშურ-გლეხური არმია. კაპიტალისტებისგან განთავისუფლების ბრძოლაში მუშათა კლასმა შექმნა თავისი უძლიერევი ჯარი.

ვერც სიმშვილი და ვერც სიცივე მათ ვერ აკავებდა. ოთხივე კუთხით იბრძოდა ჩვენი დამცველი წითელი არმია და თავისი სისხლით ანაყოფიერებდა მიწას. ისინი იბრძოდნენ თავისი შეილებსათვის, ძმებისათვის, დედებისათვის; მათ სურდათ მოეპოვებინათ ამათთვის უკეთესი ცხოვრება. მათ უნდოდათ, რომ ბავშვებს ესწავლათ თავისუფალ სკოლებში, რომ ბავშვები ბავშობიდანვე არ ყოფილიყვნენ გაყვლილი და დამონებულნი. და, აი, ამ ბრძოლაში გაიზა-

რდა და განმტკიცდა ჩვენი წითელი არმია, რომლის ამოცანაა მიიყვანოს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გამარჯვებამდე. წითელი არმია იზრდება სამოქალაქო ომის საშინელ ქექა-ქუხილში, როდესაც საბჭოთა ქვეყანა მომწყვდეული იყო შინაური და გარეშე მტრების საშინელ რკალში.

წითელი არმია ამ საშიშროების თვალწინ იმდენად განმტკიცდა, რომ დაამარცხა ყველა გენერალი და მათი მოკავშირეები, რომლებიც ყოველი მხრიდან გარს ერტყმოდნენ და იერიში მოჰქონდათ საბჭოთა კავშირზე. შიშველ-ტიტველი, იგი ამარცხებდა კარგად შეიარაღებულ მტერს იმიტომ, რომ წითელი არმია მუშების და გლეხების შრომის არმია, იგი დამცველია მშრომელთა ინტერესების. ამჟამად წითელი არმია აწარმოებს მტკიცე განმანათლებელ მუშაობას სამხედრო და პოლიტიკური მომზადებისათვის, რომელიც გააძლიერებს მის რევოლუციონურ სულისკვეთებას და ბრძოლის თვისებებს. წითელი არმია სდგება უმთავრესად ახალგაზრდობისგან და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „წითელი არმია — ახალგაზრდათა შეიარაღებული კავშირია“.

დიდი ამოცანები აწვა და აწევს მებრძოლთა კისერს. ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით კაპიტალისტურ გარემოცვაში, კაპიტალისტები ცდილობენ შეასუსტონ ჩვენი ძალები.

მათ სურთ ახალი სისხლისმღვრელი ბრძოლები. მაგრამ ჩვენ უნდა ვემზადოთ ომისათვის. პიონერებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სასროლ წრეებში, უნდა იცოდნენ ქიმიური თავდაცვის წესები, უნდა შეისწავლონ მწყობრი, სიგნალიზაცია, უნდა იცოდნენ პირველი დახმარების გაწევა უბედურ შემთხვევებში, მეტად მჭიდრო კავშირი უნდა გაიზაწ წითელ არმიასთან, უნდა შეიყვარონ წითელი არმია და ფლოტი. უნდა გვახსოვდეს ძვირფასი ბელადის და მასწავლებლის ლენინის ანდერძი: „მხოლოდ შეიარაღებულ მუშას და გლეხს შეუძლია გახდეს საერთაშორისო თავისუფლების საძირკველი“.

ა. ასტაშევა.



# ჩვენი სწავლა და მუშაობა

## ჩვენი მიხვევები.

ახალდაბა (გორის მაზრა)

სოფელ ახალდაბაში ნ. პიონერთა „კარლ ლიბკნეხტის“ სახელობის კოლექტივი 1923 წელს დაარსდა. მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებდა, მაგრამ ამას უურადლება მიაქციეს ადგილობრივმა ა. ლ. კ. კ. უჯრედებმა და კოლექტივს მიუჩინეს გამოცდილი და აქტიური ხელმძღვანელები, რის შემდეგ კოლექტივის მუშაობა ჩქარის ტემპით განვითარდა. კოლექტივმა თავის რიგებში გააერთიანა 200 პიონერი, რის მიზნითაც ეს კოლექტივი გაიყო ორ ნაწილად და შეიქმნა მეორე კოლექტივი, რიკოვის სახელობისა. ჩვენი ორგანიზაციების შემადგენლობა ამჟამად ასეთია: სულ კოლექტივებში (რიკოვის და კარლ ლიბკნეხტის) ირიცხება 200 პიონერი, აქედან 145 გლეხის შვილია და 55 მუშის. ეროვნების მიხედვით 2 სომეხია და დანარჩენი ქართველები.

**ორგანიზაციების მუშაობა სოც. დარგში.** მუშაობა შემდეგი სახით სწარმოებს: ყოველკვირეულად ეწყობა კოლექტივისა და რგოლების სხდომები, გამოდის კედლის გაზეთი „ნორჩი მშრომელი“, რომელიც იწერება პიონერების ხელით, ვაწყობთ კოლექტივებში შეჯიბრებს საუკეთესო მოდელის დამზადებაზე, შარადის გამოცნობაზე და სხვა, რაც ერთი-ორად ააქტივებს თითოეულ პიონერს.

**ორგანიზაციის მუშაობა ფიზდარგში:** ვაწყობთ სუფთა ჰაერზე სხვადასხვა სახის ვარჯიშს, ვმართავთ საბავშვო დიღებს, სადაც პიონერები გამოგვყავს ერთ ფორმაში დარაზმული და მშობლების წინ ვასრულებინებთ თავისუფალ ვარჯიშებს; ვაწყობთ გაფრენებსა და ექსკურსიებს. მაგ. მოვაწყეთ ექსკურსიები ბორჯომის წარმოებებში, სადაც დაკვირვებით დავათვალიერეთ ქარხანა. ვაწყობთ გაფრენებს ადგილობრივად მთებში, მახლობელ სოფ-

ლებში და იქაურ ბავშვებს ვუხსნით პიონერთა მნიშვნელობას და ცხოვრებას.

**უპატრონო ბავშვთა შორის მუშაობა:** კოლექტივმა თავის ხარჯზე გამოაწყო და აღძრა შუამდგომლობა, სადაც ჯერ იყო, რომ მიეღოთ ერთი უპატრონო ბავში, რომელიც სიმშვილ-სიცივით კვდებოდა და მართლაც მიაღებინა ბორჯომის საბავშვო სახლში.

კომკავშირის ხელმძღვანელობა დიდია ჩვენს ორგანიზაციაზე: ჩვენი ხელმძღვანელები კომკავშირლებია და ჩვენც კომკავშირის უჯრედის დახმარებით ვარსებობთ.

რაიბიუროსთან მტკიცე კავშირი გვაქვს დაქვრილი და ვასრულებთ მათგან ყოველივე მოცემულ დირექტივებს.

აი, მოკლედ, მუშაობა და ცხოვრება ჩვენი კოლექტივებისა, რომელთაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი და ენერგიული ამხანაგები.

პავლე კ. ბლიაძე.

## გავაუმჯობესეთ მუშაობა.

ანაგა (ხილნალის მაზრა).

სოფელ ანაგაში პიონერთა ორგანიზაცია 1924 წელს დაარსდა. ორგანიზაცია კარგად გაიზარდა, პიონერთა რიცხვი 200 ახწევდა. პიონერთა ორგანიზაციას მალე მიაქცია უურადლება ა. ლ. კ. კავშირმა და მან მალე ფეხზე დააყენა პიონერთა ორგანიზაცია. ანაგა მოზრდილი სოფელია. ამის გამო ა. ლ. კ. კ. მეორე კომუჯრედმა მიზნად დაისახა დაეარსებინა პიონერთა მეორე კოლექტივი და ეს შესძლო კიდევ. მან ორი კოლექტივი დაარსა: პირველი—მოსე ვარამაშვილის სახელობის და მეორე—მარიამ ორახელაშვილის სახელობის. პიონერთა ორგანიზაციამ ერთი თვის განმავლობაში დადგა: უფესო წარმოდგინა, რომელზე მშობლიბა



### ჩვენი ცხოვრება.

(ყვიბისის კოლექტივი)

მოწვეული იყვნენ. პიონერთა მშობლები კმაყოფილი დარჩნენ. პიონერთა ორგანიზაციას სათანადო ყურადღება ექცევა როგორც კომკავშირის, აგრეთვე საერთო ხელმძღვანელის მხრით. რგოლის თავებიც კარგ მუშაობას აწარმოებენ პიონერთა შორის. პიონერები კვირაში ორჯერ ვარჯიშობენ და ერთხელ კი საუბარი ტარდება. საუბარი შეეხება იმას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს თითოეული პიონერი და რა მნიშვნელობა აქვს პიონერთა ორგანიზაციას; საუბრობენ აგრეთვე პიონერთა ისტორიაზე, სისუფთავეზე, ჯანმრთელობაზე და სხვა ასეთებზე. ორ კვირაში ერთხელ გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიც პიონერები ათავსებენ წერილებს. გამოწერილია ჟურნალი „პიონერი“. ჩვენს პიონერთა ორგანიზაციას კარგი მიხვევები აქვს.

**მირონა ლომაშვილი.**

### ჩვენი კოლექტივის მუშაობა.

(თელავი).

აგერ ორი წელია, რაც მეორე ცხრაწლედში დაარსდა პიონერთა კოლექტივი. კოლექტივის მუშაობა პირველ ხანებში სუსტად მიმდინარეობდა, მაგრამ სამაზრო ბიურომ ყურადღება მიამჯობა ჩვენს კოლექტივს და დღეს მუშაობა გამოცოცხლდა. კოლექტივი ალ. მიასნიკოვის სახელობისაა. კოლექტივში ირიცხება 119 ბავში, მათგან 51 ოქტომბრელია; ქალების რიცხვი 72 უდრის.

კოლექტივი უშვებს აგრეთვე კედლის გაზეთს „პიონერთა ყოფაცხოვრება“. მეცადინეობა კვირაში ორჯერ სწარმოებს. სკოლასთან არსებული კომკავშირის უჯრედი კარგ ხელმძღვანელობას გვიწევს.


**რაჩიკო დავთიანი.**

ჩვენი კოლექტივი დღიდან თავისი დაარსებისა სათანადო მუშაობას შეუდგა. კოლექტივი აერთიანებს 90-მდე ნ. პ., აქედან ოქტომბრელთა ჯგუფი 25 აღემატება; კოლექტივი უმთავრესად შესდგება ლაბი გლეხობის შვილებისაგან, რომლებიც აღფრთოვანებით ვეგებებიან კოლექტივის სხდომებს. ჩვენი შეფი—ქალთა ორგანიზაცია—დიდ დახმარებას გვიწევს: შეგვიკერა პიონერული ფორმა და გვეხმარება ყოველივე საქმეში; კარგ ამინდებში ვაწარმოებთ ფიზიკურ ვარჯიშობას; პიონერები ერთ ფორმაში დარაზმული გამოდიან. ვარჯიშის შემდეგ ვაწყობთ გართობა-თამაშობებს და სხვა.

კოლექტივის და რგოლების სხდომები სისტემატურად ეწყობა. იქ ირჩევა ბავშვთათვის საინტერესო და ამდენადვე სასარგებლო საკითხები; ვაწყობთ ექსკურსიებს მახლობელ მიდამოებში და აღფრთოვანებით ვეგებებით რევოლუციონურ დღესასწაულებს. კოლექტივში გვაქვს ჩამოყალიბებული სხვადასხვა წრე: მუსიკალური, პიკორთა წრე და სხვა. კოლექტივს დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივი კომკავშირის უჯრედი და გვეხმარება ყველა საჭირობოროტო საკითხის მოგვარებაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაიბიურო დიდ მზრუნველობას იჩენს, რომ როგორც პოლიტიკურად, ისე ნივთიერად ჩვენი კოლექტივი წინ წასწიოს.

ვუსურვებთ ჩვენს ნ. პ. კოლექტივის შემდგომაც ასეთი მუშაობის წარმოებას და მუშათა კლასის სადარაჯოზე მტკიცედ დგომას.

**პავლე კ. ბლიაძე.**



სოფ. ლიხაურის (გურიი) პიონერ-კოლექტივი.



# მონღოლეთი.

მგზავრის შთაბეჭდილებანი.

მონღოლეთი აზიის გულია. მხოლოდ მიწის-ქვეშა ძალას შეეძლო შეექმნა ზღვის ტალღებსაღეთ ერთიმეორეზე მილაგებული მონღოლეთის მთები. მონღოლეთი მთის ქვეყანაა. აქაური მთები თხელი ტყეებითაა დაფარული. აქა-იქ ხროკუ ნიადაგში ყვითელი ბალახია. უსიცოცხლოა მთელი მონღოლეთი.

შეიძლება ასეული ვერსი ისე გაიარო, რომ ადამიანის ცხოვრების ნიშანწყალი ვერსად ნახოს ცოცხლის ერთადერთი ნიშანი ამ ნახევრად უდაბნო ადგილას ტელეგრაფის ბოძებია, რომელიც ძალიან გაკვირვებთ და თან იმედს გაძლევთ, რომ შორს სადმე მაინც არის ხალხი.

მართლაც, მონღოლეთის დედაქალაქი ურგა მონღოლეთის შუაგულშია გაშენებული.

მრავალი საუკუნის განმავლობაში შიშის დამცემნი იყვნენ მეომარი მონღოლები, ხოლო ახლა კი ერთი მუჟა მეჯოგენი არიან.

ახალი ცხოვრება მყარდება ამ პატარა ხალხში, რომელიც იწევს ურგისკენ, სადაც ჩრდილოეთიდან მოიტანეს წითლებმა ახალი კანონები, ახალი ცხოვრება.

მაგრამ რად ეწოდება ურგა, ხომ არცერთმა მონღოლმა არ იცის, არც ის იციან, საიდან დაერქვა ეს სახელი. მკოდნეთ რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რომ ურგა ქალაქში შესვლის ნებართვას ნიშნავს მონღოლურად.

ჩამორჩენილი მონღოლეთის დედაქალაქის სახელიც გარდაიქმნა მთელი მათი ცხოვრების გარდაქმნასთან ერთად, მათ დედაქალაქს ახალი სახელი აქვს, რევოლუციონური—ულან-ბატორი: წითელი მხედარი, რომელიც ყველა მონგოლს კარგად ესმის და ჩქარა მონღოლეთის ხალხი დაიხსომებს ამას.

ათასეული ვერსის მანძილზე წავა ქალაქის ეს ახალი გარდაქმნილი სახელი.


იქ მეტად მწირი ნიადაგია. მონღოლეთში არც ერთი სახე ხორბლეულისა არ იზრდება, რადგან მეტად ხმელი ჰავაა: ცივი ზამთარი, ცხელი, სულშემხუთავი ზაფხული. მკაცრ ცივ ღამეს ცხელი დღე სცვლის. აი ასეთი მკაცრი ცვალებადობა არ აღწევს საშუალებას ხორბლეულს შემოვიდეს, თავთავი დაიმწიფოს.

როგორც უკვე ვთქვით, მონღოლების უმრავლესობა მესაქონლეობას მისდევს, მაგრამ არცერთი მონღოლი საზამთროდ საქონლისთვის თივას არ ინახავს. ზაფხულში მომრავლებული საქონელი ზამთარში თითქმის ნახევრდება უსაქლობის გამო, რადგან საქონელმა თოვლქვეშ უნდა ეძებოს საქონელი. ამ დროს კი მონღოლი არც კი გაინძრევს, რომ თავისი სიმდიდრე გადაარჩინოს. დიდ ზამთარში საქონელი უცდის გაზაფხულს, რომ გადავალტყავებულმა სული მოიბრუნოს. საქონელზეა მონღოლის ცხოვრება დამოკიდებული. თუ საქონელი გაუწყდება, მონღოლს ცხოვრება აღარ შეუძლია.

ასე ჩამორჩენილი და მოუწყობლები არიან მონღოლები. ცხოვრობენ კვამლიან კარავში, ტყავის გაქონილი ტანისამოსი აცვიათ; სქამენ ნახევრად მოხარულ ხორცს, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში შამფურზე სწვამენ. სვამენ უშაქრო ჩაის, რომელშიც ცხვრის ქონები დასცურავენ.

მეტად სტუმართმოყვარენი არიან მონღოლები, როგორც ყველა ჩამორჩენილი ხალხი.

მონღოლი ქალი—ისეთივე მუშაა, როგორც კაცი. იგი დღე-ღამე გრძელი სახრით ერეკება საქონელს.




სახალხო სახლი ულან-ბატორში (მონღოლეთში).



ახალი ცხოვრება ხმაურობს მონღოლეთის საზღვარზე, ახალი ცხოვრება უჭედავს ბედს ბედში ჩამორჩენილ მონღოლებს. სულ ახლო მომავალში მონღოლეთში საბჭოთა დროშა აფრიალდება.

1921 წელს მომხდარმა რევოლუციამ აუარებელი დავალიანებული მონღოლი გაათავისუფლა მდიდარი ჩინელი ვაჭრების კლანებიდან. მონღოლეთში უკვე დიდი კოოპერატივებია. კოოპერაციის განმტკიცებით ნიადაგი ეცლებათ ერთ დროს გამგებულ ვაჭრებს.



მოდრავი კოოპერატიული სავაჭრო მონღოლეთში.

ურგას გარეთ მალეობ ადგილზე ფრიალებს თავისუფლების ნიშანი—წითელი დროშა; იქ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია. შუა ქალაქში რამდენიმე ორსართულიანი სახლია, სადაც მოთავსებულია მონღოლეთის სახალხო პარტიის ცაკი და მთავრობა.

ეს ცენტრია ახალი მონღოლეთის, ეს განათლების ნაკადია ნახევრად ველურ მეჯოგეებს შორის.

ბორკილახსნილ ქვეყანას ცხოვრების გარდაქმნის ტალღა აქედან გრიგალივით უფლის დაჰპირდება ამიღლებას.

ურგას გარშემო თითქოს თეთრი ქვის ალყა არტყია. მივედით ახლო; ქვები ადამიანის ძვლები გამოდგა. ასეთ ძვლებს შორის არის მონღოლეთის დედაქალაქი; ირგვლივ ძვლები, სასაფლაო, შიგ კი სიცოცხლე.

— ჩვენ ჩვენს მიცვალეულებს არ ვსაფლავებთ,— გვიხსნის ამხანაგი ხიავან-ხირკა.

— მაშ სად მივაქვთ?— ეკითხება ერთი ჩვენთაგანი. საშინელია პასუხი:

— მათ ძაღლები სჭამენ.

ცნობისმოყვარეობა გვიტაცებს, გვავიწყდება, რომ დიდი ტაძარი განგე უნდა დაგვეთვალიერებია და ვათვალიერებთ ამ მზით გადამწვარ სასაფლაოს.

აქა-იქ ჰყრია ძვლები, ამ მინდორში უშველე ბელი, შავი, ადამიანის მკამელი ძაღლები დადიან, წითელი თვალებით, გძელი ბეწვით, რომელიც, თურმე, მეტად ფაფუკი აქვთ.

მკვდარი გააქვთ ქალაქ გარეთ და აგდებენ. იმაზედაც კი არ ფიქრობენ, რომ სახლის ახლოა, რადგან ხვალ მხოლოდ თეთრი ძვლებილა დარჩება, ასე რომ სანიტარული ექიმიც კი ვერაფერს იტყვის.

ქალაქის მცხოვრებლებს პატარა ორსართულიან სახლთან ერთად უსათუოდ საზაფხულო ტილოს კარავი აქვთ. მათ კარგებს ქვეშ ფიცარი უგია. მათ სახლში ახლა ხშირად ბუდის და ბურხანის მაგივრად ლენინის და მარქსის სურათს ნახავთ.


მთელ მონღოლეთში 800.000 მცხოვრებია.

თ. ჩ.





# მ ა ს ნ ი ე რ ე ბ ა და მ ე ხ ნ ი ა ა



## ტრისტანი და კუნია.

ატლანტის ზღვაში ყველა მეტრიკზე და-  
ლიან დაშორებული პატარა კუნძულების ჯგუფი  
არის. ყველაზე უდიდესს ამ კუნძულებში ჰქვია  
„ტრისტანი და კუნია“. ამ სახელს ატარებდა ზღვაში  
მოგზაური პორტუგალიელი, რომელმაც ეს კუნძული  
აღმოაჩინა. ორი მეზობლად მდებარე კუნძული სრუ-  
ლიად მიუდგომელი კლდეებია. ერთს ეძახიან „მიუ-  
კარებელს“, მეორეს კი „ბუღბუღი“ ჰქვია.

რატომ დაარქვეს ამნაირი უცნაური სახელი?  
იმიტომ, რომ ოკეანედან მონაბერი ქარი უსტვენს,  
კენესის და ღრიალებს ამ კუნძულის ციცაბო, წა-  
მახვილებულ კლდეებში. უმთავრესი და უდიდესი  
არის ტრისტანი და კუნია. შედარებით სწორია და  
დიამეტრით 116 კილომეტრი არის. მიდგომა ამ  
კუნძულზე შეიძლება მხოლოდ ერთ ადგილას, და-  
ნარჩენი ნაპირები ირგვლივ მიუდგომელია. კუნძულ-  
ზე სრულიად არ არის ტყე და არც რაიმე ცხოველი,  
გარდა ძროხებისა და ხარებისა, როგორ გაჩნდნ ძრო-  
ხები და ხარები ამ კუნძულზე, — ჯერაც ამოცანაა.

კუნძული აღმოაჩინეს 1506 წელს, მაგრამ  
პირველად ხალხი დასახლდა იქ ამ 100 წლის წინათ.  
„ტრისტანი და კუნია“ სამხრეთ ამერიკიდან დაშორე-  
ბულია 4600 კილომეტრით, აფრიკიდან კი 3300  
კილომეტრით.

რამ დასახლა ადამიანი ამ უსახლგრო ოკეანეს  
სივრცეში გადაკარგულ პაწია უდაბურ კუნძულზე,  
სადაც არც ხე, არც ცხოველები არ მოიპოვება? მაგ-  
რამ პირველად იქ ხალხი, რასაკვირველია, თავისი  
ნებით არ დაბინავებულა.

1816 წელს ინგლისელებმა გადასახლეს ნაპო-  
ლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე. წმ. ელენეს კუნ-  
ძული ტრისტანი და კუნიაზე 200 კილომეტრზე მე-  
ტით არის დაშორებული, მაგრამ ინგლისელების  
მთავრობას მაინც ეშინოდა, რომ აქედან ვინმეს არ  
აღმოაჩინა დახმარება ნაპოლეონისთვის, დაიჭირა ეს  
კუნძული და გაგზავნა მკირერიცხოვანი გარნიზონი

ნ ოფიცრისა და 37 ჯარისკაცისაგან შემდგარი. რო-  
დესაც ნაპოლეონი მოკვდა, გარნიზონი მოხსნეს, მაგ-  
რამ ერთმა ინგლისელმა ჯარისკაცმა აღარ მოი-  
სურვა სამშობლოში დაბრუნება და დარჩა საცხოვ-  
რებლად ცოლშვილით ტრისტანი და კუნიაზე. შემ-  
დეგ მას შეუერთდა ორი გამოქცეული მეზღვაური,  
შემდეგ კიდევ რამოდენიმე კაცი მიემატა დაღუპული  
ინგლისური გემიდან გადარჩენილი.

შემდეგ ქალებიც გადაიყვანეს ამ კუნძულზე  
მახლობელი კუნძულებიდან.

პირველად ძალიან გაუჭირდათ ინგლისის მთავ-  
რობა სრულიად არ იწუხებდა თავს გალაკარგულ  
კუნძულზე დასახლებული რამოდენიმე სულელის  
გულისთვის. და კუნძულელებს თავის თავზე თვითონ  
უნდა ეზრუნათ.

შეუდგენ ძროხებზე და ხარებზე ნადირობას,  
მაგრამ დაშინებული ცხოველები გაიქცნენ მთებში  
და იფარავდნ თავს ისეთ ადგილებში, სადაც მონა-  
ღირეები ვერ მიდიოდნ.

თევზების დაჭერაც შეუძლებელი იყო უსწო-  
რ-მასწორო კლდოვანი ნაპირებისა და შეუწყვეტელი ქა-  
რისაგან მუდამ აღელვებული ზღვის ზვირთების გამო.


მხოლოდ ფრინველებით იკვებებოდნ ტრისტა-  
ნელები. აუარებელი ფრინველი ბინადრობდა კუნ-  
ძულზე. მარტო კვერცხს აგროვებდნ 8000 მეტს  
თვეში. თუმცა ერთვგარი, მაგრამ საქმელი მაინც  
ჰქონდათ. მაგრამ როგორ უნდა ეცხოვრათ უსახლოდ?

ინგლისის მთავრობის მიერ აშენებული სახლები არ  
ყოფნიდათ, რადგანაც მცხოვრებლების რიცხვმა იმატა.  
ხე არსად იყო. სახლების ასაშენებელი მასალა არ  
იშოვებოდა. დაიწყეს ქვის სახლების შენება. მარტო  
ქვისაგან სახლს ვერ ააშენებ. მაგრამ აქ კი ზღვამ  
გაუწია მათ დახმარება: ჰყრიდა ნაპირზე დაღუპულ  
დამტვრეულ გემებს და ხომალდებს და ყველა ეს  
ფიცრები, ძელები ხმარდებოდა სახლების აშენებას.  
მიუხედავად ყოველნაირი გაჭირებისა, ტრისტანე-



ლები არ გავფლურდენ. უპირველესი იმათი საზრუნავი იყო ბავშებს ესწავლათ და სკოლისათვის საუკეთესო შენობა ააგეს.

1825 წელს ტრისტან და კუნიაზე 25 მცხოვრები იყო, ახლა 135 არის. იმათგან წერაკითხვის უცოდინარი არცერთი არ არის. საქონე-



კუნძული ტრისტან და კუნია.

ლი კარგა ხანია მოიშინაურეს. კარგა ხანია თესვებზე, მხოლოდ ხეების გაშენება ჯერაც ვერ მოუხერხებიათ.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ტრისტან და კუნიას ხოვრებნი თითქმის მოწყვეტილნი არიან მთელ ეყნიერებას; მხოლოდ ერთხელ 18 თვის განმავლობაში მოდის მათ კუნძულზე გემი.

ტრისტანელებს კომუნა აქვთ. საერთო სალარო აქვთ, მთელი მოწეულ ჭირნახულს და ევროპიდან მოტანილ საქონელს თუ სანავაგეს თანასწორად იყოფენ ერთმანეთში. კუნძულზე არ არის სასამართლოები. რომ ყოფილიყო, არავითარი საქმე არ ექნებოდა, რადგანაც ტრისტან და კუნიაზე ვერ იპოვით კაცს, რომელსაც ფიქრად მოსვლოდეს რამე დანაშაულის ჩადენა.

მგზავრებს, რომლებიც ძალიან ძვირად მოხვდებიან ხოლმე ამ კუნძულზე, აოცებს ტრისტანელების ჯანსაღობა.

რაც დაარსებულია კომუნა, ე. ი. 100 წელზე მეტი დროს განმავლობაში, მხოლოდ 3 კაცი მომკვდარა. ავადმყოფობა რა არის, ტრისტანელებმა თითქმის არ იციან. კბილები ხომ სრულიად არაფერა ანა აქვს ვაფუჭებული.

ბევრჯერ მისცა მათ წინადადება ინგლისის მთავრობამ: მიატოვეთ ეს უდაბური კუნძული და გადმოსახლდით უფრო ხელსაყრელ ადგილასო, მაგრამ ამ პატარა, სადღაც ოკეანეს სივრცეში გადაკარგულ ადამიანების ჯგუფს არაფრის გულისთვის არ სურს შეეღიოს თავის ტრისტან და კუნიას და ყოველთვის უარს ამბობენ გადმოსახლებაზე.

# „პიონერი“


## რედაქცია გაღაპილა ახალ ბინაზე:

### რუსთველის გამზირი, № 22




# ჭ ა ლ რ ა კ ი.

**შამათი.** ჩვენ ვთქვით, რომ თამაშის მიზანი შამათია, ე. ი. მოპირდაპირის მეფისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ წასავალი გზა არ ჰქონდეს. შამათის გამკეთებელი მხარე ითვლება მოგებულად, ხოლო ვისაც შამათი გაუკეთდა, წაგებულად. და ამით, პარტია თავდება. შამათი უქიშოდ არ შეიძლება, მეფეს აუცილებლად უნდა გამოეცხადოს ქიში; ეს იმას არ ნიშნავს, რომ სავალდებულო იყოს სიტყვიერად „ქიშის“ წარმოთქმა, მაგრამ თუ მოპირდაპირე მხარემ ვერ შენიშნა ქიში, სხვა რომელიმე კოჭი ათამაშა და თავისი მეფე მუქარის, იერიშ ქვეშ დასტოვა, ეს სწორ სვლად არ ჩაითვლება და აუცილებლად უნდა გასწორდეს.



დიაგრამა № 1.

მოგვეყავს შამათის რამდენიმე მაგალითი (იხ. დიაგრ. № 1). აქ თეთრები ლაზიერისა და ეტლის საშუალებით შამათს ვაძლავს პაიკს h 7-ს და უცხადებს ქიშს; სად წავა მეფე? მას სამი სვლა შეუძლია კუთხის უჯრიდან; მაგრამ ერთი უჯრა g 7 დაქერილია საკუთარი პაიკით; დარჩა ორი სვლა — h 7 და g 8; h 7-ზე ზის ლაზიერი, რომლის მოკვლა არ შეუძლია მეფეს, ვინაიდან იგი დატულია ეტლით h 1-ით; მაგრამ მეფეს არ შეუძლია წასვლა არც g 8-ზე, რადგანაც იმ უჯრასაც იგივე ლაზიერი ემუქრება. ამას ჰქვია შამათი. წარმოვიდგინოთ სხვანაირი მდგომარეობა (იხ. დიაგრ. № 2), აქაც შამათია, ოღონდ შამათის გაკეთებაში აქ სამი ფიგურა იღებს მონაწილეობას — ერთი მძიმე და ორი მსუბუქი. ეტლი h 1 უკლავს პაიკს h 7-ს და ქიშს უცხადებს. მეფეს წასავალი გზა არა აქვს; ეტლს ვერ მოკლავს, ვინაიდან მხედრით (g 5) არის დაცული და g 8-ზე ვერ წავა, ვინაიდან ამ უჯრას კუა 2 ემუქრება.



დიაგრამა № 2.

შავი მეფე დავსვით h 8-ზე; თეთრი მეფე f 6 და ეტლი a 1-ზე. აქაც „დაშამათული“ მდგომარეობაა; ეტლი a 1 მოდის h 1-ზე და უცხადებს „ქიშსა და შამათს“, ვინაიდან შავ მეფეს გზა არა აქვს (ორ უჯრას g 8 და g 7-ე თეთრი მეფე ემუქრება).


მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს, როდესაც შამათს პაიკები უცხადებენ (იხ. დიაგრ. № 3). პაიკი d 6 ჯდება d 7 და ქიშს უცხადებს. შავი მეფე ვერსად მიდის: ვერა ჰკლავს მოიერიშე პაიკს, ვინაიდან მას მეფე (c 6) იცავს, ვერა ჰკლავს მეორე პაიკს (c 7), ვინაიდან მასაც იგივე ქომბაგი ჰყავს, ხოლო ორ დანარჩენ უჯრას d 8-სა და h 8-ს ემუქრება პაიკი c 7.

**ფათა.** არის-ხოლმე ისეთი შემთხვევა, როდესაც მეფეს ყველა გზა აქვს შეკრული, სადაც წავა მოკვდება, მაგრამ ასეთი მდგომარეობა შამათად არ ითვლება და ხელი კი დამთავრებულად ცხადდება. ავიღოთ წინა მდგომარეობა (დიაგრ. № 3), ოღონდ პირველი სვლა შავებს მივცეთ. მეფე ისევ იმ გამოუვალ მდგომარეობაშია: სადაც გინდა წავიდეს, მოკვდება, მაგრამ ეს შამათი არ არის, წინა მდგომარეობა კი, როდესაც პაიკით (d 6) ქიში გამოეფუცხადეთ — შამათი იყო. რაშია განსხვავება? განსხვავება იმაშია, რომ ახლა მეფე დატყვევებულია უქიშოდ. თეთრებს მისთვის ქიში არ გამოუცხადებიათ, არ დაშუქრებიან. როდესაც ერთ-ერთი მხარის მეფე ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას სხვა კოჭები არ ჰყავს (ანდა ჰყავს, მაგრამ მათ სავალი გზა არა აქვთ) და შემდეგი სვლა აუცილებლად მეფით უნდა გაკეთდეს, ხოლო მას კი წასავალი არ მოეძებნება (ქიშის გამოუცხადებლად), — თამაშის ასე დაბოლოებას ფათა ეწოდება. ხელი უშედეგოდ ითვლება: ე. ი. ამ ხელზე არც გამარჯვებული და არც დამარცხებული მხარე ღარაა.


აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მოგებისთვის, ე. ი. შამათის გაკეთებისათვის, მთავარი მომენტი ქიშის გამოცხადებაა. მაგალითისათვის ავიღოთ რამდენიმე მდგომარეობა, როდესაც თამაში ფათით თავდება (იხ. დიაგრ. № 4). აქ თეთრებმა ეტლით რომ ითამაშონ h 1 — c 1 ან h 1 — h 7, თამაში ფათით დამთავრდება, ვინაიდან შავი პაიკები აღვილიდან ვერ დაიძვრებიან (უშლის თეთრი პაიკი f 3 და თეთრი კუ a 1); მაშასადამე, სვლა აუცილებლად მეფით უნდა გაკეთდეს, ხოლო მეფეს კი ქიშის გამოუცხადებლად ყოველმხრივ გზა აქვს შეკრული. ამიტომ ფათის ასარიდებლად თეთრებმა უნდა გამოსწიონ კუ, დასვან e 5-ზე და ქიშის გამოცხადებით შამათი გაუკეთონ.

დავსვათ შავი მეფე [d 8-ზე, თეთრი პაიკი d 7-ზე, ხოლო თეთრი მეფე d 5-ზე, თამაშის ჯერი თეთრებისა; აქ თეთრებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რომ თამაში ფათით არ დამთავრდეს: მაგალითად (იხ. დიაგრ. № 5), რომ ითამაშონ d 5 — d 6, საქმე წასულია: შავები სიხარულით ამოისუნთქავენ, რადგანაც ფათით დამთავრდება თამაში. თეთრებმა უნდა ითამაშონ d 5 — c 6 (ან e 6), რომ შავ მეფეს წასავალი გზა მისცენ და თანაც ეცადონ პაიკი ფიგურად (ლაზიერად) აქციონ. შავი მეფე იძულებულია e 7-ზე დაჯდეს (თეთრი მეფე რომ e 6-ზე წასულიყო, მაშინ შავი c 7-ზე დაჯდებოდა), შემდეგ თეთრი მეფე მიდის c 7-ზე და ამ სვლით უკვე უსზრუნველყოფილია პაიკის ლაზიერად გადაქცევა, რის შემდეგაც შამათი სულ ადვილი საქმეა.

**მუღმივი ქიში.** თამაში ფრედ ითვლება აგრეთვე მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი მხარე მუღმივ ქიშს უცხადებს მოპირდაპირის მეფეს. მუღმივი ქიში ეცხადება, როგორც სხვადასხვა ფიგურით სხვადასხვა მხრიდან, ისე




დიაგრამა № 3.



დიაგრამა № 4.


ერთი ფიგურით, განსაზღვრული პოზიციებიდან (იხ. დიაგრ. № 6): როგორც ხედავთ, შავებს საქმე კარგად აქვთ: ჯერ ერთი — ფიგურები უფრო მეტი ჰყავთ, გარდა ამისა, პაიკები წინ არიან წაწეული და შესაძლოა სულ მალე ლაზიერად იქცენ; თეთრებს კი მხოლოდ ერთი ლაზიერი ჰყავთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თეთრებს შეუძლიათ მუდმივი ქიშის საშუალებით თამაში ფრედ დაამთავრონ. აი ეს მუდმივი ქიშიც: e 5 — a 5; მეფე



დიაგრამა № 5.

იძულებულია წავიდეს b 7 (ან b 8-ზე; ჩვენ პირველ ვარიანტს მივყევით); ლაზიერი b 5 და ქიშ! მეფე — c 8; ლაზიერი a 6 ქიშ! მეფე b 8; ლაზიერი — b 5 ქიშ! მეფე a 7; ლაზიერი a 5 ქიშ! და ასე დაუსრულებლივ. მუდმივი ქიშის საშუალებით ლაზიერი მოსვენებას არ აძლევს მეფეს და ამით შესაძლებლობას უსპობს შავებს აათამაშონ სხვა ფიგურები. ცხადია, შავები იძულებულნი ხდებიან თამაში ფრედ გამოაცხადონ. მუდმივი ქიშს მიჰმართავს ხოლმე დაზარალებული მხარე, როდესაც მოგების იმედი დაკარგულია და იმასლა ცდილობს, არ წააგოს მაინც, ე. ი. ფრედ დაამთავროს პარტია.


კიდევ რა შემთხვევაში ითვლება ხელი ფრედ. ჩვენ ორი შემთხვევა მოვიყვანეთ, როდესაც ხელი უშედეგოდ ითვლება — ეს არის ფათა და მუდმივი ქიში. დავასახელოთ კიდევ სხვა შემთხვევები. როდესაც ორივე მოპირდაპირე მხარეს მარტო მეფეები რჩებათ, ცხადია, თამაში უშედეგოდ დამთავრებულია; ანდა შესაძლოა ორივე მხარეს თამაშის ბოლოში ორიოდ ფიგურა დარჩეს, მაგრამ არცერთ მხარეს არ შეეძლოს მოპირდაპირისათვის შამათის გაკეთება. ესეც ფრედ ითვლება; მაგალითად, თუ ორივე მხარეს თითო ლაზიერი და მეფე, ანდა თითო ეტლი ჰყავს და მდგომარეობაც დაახლოვებით თანაბარია, ხელი ფრედ გათავდება. უშედეგო იქნება ბრძოლა აგრეთვე, თუ მარტო მეფის წინააღმდეგ იბრძვის მეფე და



დიაგრამა № 6.

მხედარი, მეფე და კუ. მეფე და ორი მხედარი. თამაში ფრედ ითვლება, თუ ძლიერი მხარე თამაშის ბოლოში (როდესაც მოპირდაპირე მხარეს მარტო მეფე ჰყავს) შამათს 50 სელაში ვერ გაუკეთებს; 51-ე სელაზე თამაში უშედეგოდ ცხადდება.

დამატებითი ცნობები პაიკების თაობაზე. ზემოთ ვთქვით, რომ მოთამაშეს უფლება აქვს პაიკი თავდაპირველი უჯრიდან ორ უჯრაზე გადასვას (e 2 — e 4; b 2 — b 4 ლ. სხვა). მაგრამ არის ერთი გარემოება, როდესაც მოთამაშე ამის უფლებას ჰკარგავს: თუ თეთრი პაიკი მეხუთე ჰორიზონტალურ რიგზე იმყოფება, ხოლო შავი მეოთხეზე, მაშინ მოპირდაპირეს არ შეუძლია ორნაბიჯა სვლით ამ პაიკს გვერდზე მოუსვას თავისი პაიკი; მაგალითად, თეთრი პაიკი ზის d 5-ზე, მაშინ პაიკებს c 7-სა და e 7-ს უფლება ეკარგებათ ერთ სელაზე დასხდენ c 5-სა და e 5-ზე ასევე, თუ შავი პაიკი ზის d 4-ზე, თეთრ პაიკებს c 2 და e 2 ეკარგებათ უფლება ერთი სვლით c 4-სა და e 4-ზე; დასხდენ. ხოლო თუ მოთამაშემ ეს წესი დაარღვია, მაშინ მოპირდაპირეს შეუძლია მოჰკლას ეს პაიკი. ასეთ მო-



დიაგრამა № 7.

კლას ეწოდება გზად მოკლა. მაგალ. თეთრი პაიკი ზის e 5-ზე; შავი პაიკი გამოდის f 7-დან და ჯდება f 5-ზე. თეთრები იღებენ ამ პაიკს და თავის პაიკს სვამენ f 6-ზე. აქ შემდეგი ვარაუდია გაწეული: შავებს სწორედ რომ ეთამაშნათ, პაიკი f 7 f 6-ზე უნდა დაესვათ: მაშინ თეთრ პაიკს შეეძლო მოეკლა e 5: f 6;

ვინაიდან შავებმა დაარღვიეს წესი, ამიტომ თეთრები, ასე ვთქვათ, ასწორებენ შავების შეცდომას, ჰკლავენ უწესოდ გამოწეულ პაიკს და თავის პაიკს სვამენ იმ უჯრაზე, სადაც წესისამებრ უნდა დასმულიყო შავი პაიკი.

მოთამაშე გზად მოკლის უფლებას ჰკარგავს, თუკი მაშინვე (უწესოდ გამოწევისთანავე) არ მოუკლა პაიკი; ერთი სვლითაც რომ დააგვიანოს მოკლა, მაშინ პაიკი მკვიდრდება თავის პოზიციაზე f 5-ზე და მოპირდაპირეს აღარ შეუძლია e 5: f 6-ის გაკეთება.

როდესაც თამაშის პროცესში პაიკები ისე ალაგია, რომ ერთიმეორეს იცავენ, ამას გამაგრებული ანუ შეკრული პაიკები ეწოდება. (იხ. დიაგრ. № 7); ასეთებია თეთრი პაიკები d 5, c 4, e 4, შავები d 6, c 7; როდესაც პაიკი ისეთ ადგილას სდგას, რომ მისი დაცვისთვის ფიგურა უნდა მოიშველო და პაიკით არ დაიფარება, ამას გამხოლოებული, გარიყული პაიკი ეწოდება. ასეთია პაიკი h 6, h 3, a 2, a 5; მაგრამ h 6 და a 5 ამავე დროს ვახვლები პაიკებიც არიან, ვინაიდან მათი სელა უკანასკნელ ჰორიზონტალამდე მოპირდაპირის პაიკით ვერ შეჩერდება. არის აგრეთვე ჩამორჩენილი პაიკები (a 2, h 2) და დაორებული, დასამებული პაიკები (g 5, g 6). პაიკების დაორება იმის გამო ხდება, რომ პაიკი, როგორც ვიცით, გეზად ჰკლავს და, მაშასადამე, შეიძლება თავისავე ფერის პაიკის წინ დაჯდეს. ჩამორჩენილი, გამხოლოებული (თუ იგი გასასვლელი არაა) და დაორებული პაიკები საზარალოა; ამიტომ ამას მოთამაშე უნდა ერიდებოდეს.



# თ ა ვ ა უ რ ბ ა ნ ი .

## შვილდ-ისარი

შვილდის და ისრის დამზადება ადვილია. მათ გასაკეთებლად შეიძლება ვიხმაროთ ტირიფი, ცაცხვი, ლერწამი.

შვილდის მოსაქიმივად შეიძლება ვიხმაროთ თოკი ან ფოლადის მავთული. კარგია შვილდ-ისრით მიზანში ტყორცნა. მხოლოდ საჭიროა ზოგიერთი გამაფრთხილებელი ზომის მიღება:

1. დაუშვებელია პატარა ეზოში, ან მოედანზე ტყორცნა, სადაც შესაძლებელია რაიმე მარცხი მოხდეს.

2. ყველა მონაწილე ტყორცნის დროს მხოლოდ ერთ მხარეს უნდა იდგეს, რომ ისრები ერთმანეთს არ მოახვედროს.

3. საჭიროა ბავშვები მიეჩვიონ, როგორც მარჯვენა, აგრეთვე მარცხენა ხელით ტყორცნას.

## სალიკ-კუნძულის მუშაობა.

(წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტის მუშაობა).

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. ერთი წარმოადგენს წერა-კითხვის ცოდნას, მეორე — წერა-კითხვის უცოდინარობას.

წერა-კითხვის ცოდნა ადგენს წრეს და ჩერდება შუა მოედანზე (ერთი მოთამაშე მეორესაგან 3 ნაბიჯის მანძილზე).

წერა-კითხვის უცოდინარობა ჩერდება წრის შუაში ჯგუფად.

ხელმძღვანელი დგება განზე და ხმაშლილი იძახის: „წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლისკენ!“ ყველა მოთამაშე, რომელნიც წერა-კითხვის ცოდნას წარმოადგენენ, მირბის და იჭერს წერა-კითხვის უცოდინარეებს, რომელნიც ვარბიან და ვაიფანტებიან მთელ მოედანზე. დაჭერილი მოთამაშე უნდა შეუერთდეს-დამჭერ ამხანაგს, მოეხმაროს მათ სხვა წერა-კითხვის უცოდინართა დაჭერაში.

ახლადდაჭერილი ემატება დამჭერთ და ამგვარად იზრდება წერა-კითხვის მცოდნეთა ჯგუფები. თამაში თავდება, როდესაც წერა-კითხვის უცოდინარნი ყველანი იქნებიან დაჭერილნი.

## ბამზრინახი ქარხკომი.

მოთამაშეთა რიცხვი: 5-დან—30 მდე.

სათამაშო ადგილი — მოედანი, დარბაზი, მინდორი.

მოთამაშეთა განაწილება: აირჩევენ მოთამაშეთა რიცხვიდან სამს, რომელნიც წარმოადგენენ ქარხკომს. არჩეულები სხდებიან ცალკე, დანარჩენები კი წამოადგენენ ქარხნის მუშებს, დგებიან განზე ქარხკომიდან და ჩუმად მოილაპარაკებენ, თუ რას უნდა წაშაბდონ მოძრაობით ქარხკომის წინაშე: მანქანის მუშაობას, გლეხურ შრომას, კლუბის

ცხოვრებას, თუ გააშუქონ მოძრაობით ქარხნის მოთხოვნანი და საჭიროებანი.

თამაშის აღწერა: მუშები მიდიან ქარხკომთან და ყველანი ერთად აპობენ: „გამარჯობა, ქარხკომო“, ქარხკომი უპასუხებს: „გამარჯობა, მუშებო; რას აკეთებთ და რა გპირდებით ქარხანაში“. ამის შემდეგ მუშები აკეთებენ იმ მოძრაობას, რომელიც წინდაწინ გადაწყვიტეს. ქარხკომის წევრებმა ცალ-ცალკე უნდა ახსნან და განმარტონ მოძრაობის მნიშვნელობა. თუ ქარხკომის განმარტება მართალი გამოდგა (თუნდაც ერთი წევრის); ქარხკომი თავის ადგილზე რჩება, ხოლო თუ ქარხკომის ყველა წევრის განმარტება შემცდარი გამოდგა, იმ შემთხვევაში მუშები ხსნიან ქარხკომს და ურტყავენ მის წევრებს ხელს. ქარხკომის წევრები მირბიან, რომ დარტყმა აიცილონ და მიაშურებენ იმ ხაზს, სადაც ყველანი თავს იყრიან. იქ ირჩევენ ახალ ქარხკომს და თამაში გრძელდება. თამაშის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მოთამაშეთა სურვილზე.

## ბრძოლა სიმაგრისთვის.

რგოლთა შორის იმართება შეჯიბრი: ვინ უფრო ბევრ თოვლის გუნდას გააკეთებს განსაზღვრული დროის განმავლობაში. შემდეგ ამ გაკეთებული გუნდებით რგოლები ერთმანეთის პირდაპირ შეჯიბრებენ კომპებს (სიმაგრეს).

რომ გაკეთდეს კარგი სიმაგრე სხვადასხვა მიხვეულ-მოხვეული გზით და კარებებით, საფარებით, უნდა შენდებოდეს რამდენიმე დღის განმავლობაში ეს უმთავრესად მოსახერხებელია სოფლებში, მეტადრე მაშინ, როდესაც დიდი თოვლი ძვეს. შეიძლება აშენდეს ერთი სიმაგრე მეორისგან ცოტა მოშორებით. როდესაც სიმაგრე მზად იქნება, რაში გაიყოფა ორ ნაწილად, ერთი ნაწილი შედის სიმაგრეში, სადაც აღმართავს თავის დროშას, მეორე ნაწილი კი რჩება სიმაგრის გარეთ. სადაც აქვს თავისი ქალაქი და სადაც აღმართულია მისი დროშა. თამაშის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ წაართვა მოწინააღმდეგეს დროშა და მიიტანო შენ ქალაქში. თითოეული რაში ირჩევს თავის წინამძღოლს, რომლის ბრძანებას თითოეული მოთამაშე ემორჩილება. თამაშში უნდა იხმარონ თოვლის გუნდები. თამაშის წესები:

ომის დროს თუ რომელიმე რაშმის წევრს მოხვდა სამჯერ გუნდა ქამარს ზევით, ის მოკლულად ითვლება; თუ სამჯერ ქამარს ქვევით მოხვდა — დაჭრილად ითვლება და ბრძოლას თავს ანებებს; მოკლული ეცემა, დაჭრილი მიდის ბინაზე. შეიძლება იერიშზე გადასვლა ხელჩართული ბრძოლისთვის, სადაც უხეშობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შეიძლება თამაშისთვის თვითონ მოიგონოთ მრავალი სხვა წესი. თამაშის წინ ყველანი ერთად მოითქვებიან და მოილაპარაკებთ.

გამოდის 1928 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო დასურათი

ქურნალი

მონაწილეთათვის

# პიონერი

წელიწადი III

ქურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ეოველი წევრის, ორგანიზაციის ეოველი კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ეადღებუდე ბაა ეამოიწერონ

## პიონერი

ბიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ეურნალი ღირს ეადაკზაენით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ხალკე ნომერი — 25 კაპ.

ბისაგართი: ტფილისი, რუსთველის ეამზირი, № 22, სასეღვაში (ბეირე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქიო კოლეგია.